ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 1 აგვისტო, 2016 №180 (7106) ფასი: 50 თეთრი

ნატო თურქეთის გარეშე?

ირანისა და თურქეთის დაახლოება დასავლეთს პრობლემებს შეუქმნის

გვ.4

ვალერი გელაშვილი შვილის ქორწილიდან ჩამოიყვანეს

გვ.3

„ოცნებამ“ შიდა ქართლის მაჟორიტარობის კანდიდატები დაასახელა

„სააკაშვილის ფიტულებს ყველა რეგიონში დავნავთ“

ზვიად ჩიტიშვილი: „ხელისუფლებას თუ ექსპრეზიდენტის ექსტრადიციის ფული არ აქვს, ჩვენ დავაფინანსებთ“

გვ.5

„გოდერძი ბუკია რომ გყავს, სხვას კოტე კემულარია არ უნდა წამოაძახო“

გვ.3

მერაბ მეტრეველი: „ქართული ოცნება“ ჩვენს ჩაძირვასა და ნაციონალების გათრევას ცდილობს“

მამუკა მდინარაძე: „პაპუაშვილმა უნდა თქვას, ვისი მხრიდან იყო ზეწოლა და ვინ შეცვალა სარჩელი“

გვ.2

„ერთი პროცენტითაც არ ვუშვებ, რომ ხელისუფლების მხრიდან იყო ზეწოლა, მაგრამ გამოძიება უნდა იყოს ობიექტური“

ISSN 1987-9385

ჯეჯელავა: „შაჰინის სკოლაში დარღვევები არ ჩანს“

გვ.4

სუსის კონტრტერორისტულმა ცენტრმა ვახტანგ ხანგოშვილი დააკავა

გვ.4

მამუკა მდინარაძე: „პაპუაშვილმა უნდა თქვას, ვისი მხრიდან იყო ზეწოლა და ვინ შეცვალა სარჩელი“

„ერთი პროცენტითაც არ ვუშვებ, რომ ხელისუფლების მხრიდან იყო ზეწოლა, მაგრამ გამოძიება უნდა იყოს ობიექტური“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი, იურისტი მამუკა მდინარაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო სასამართლოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო მამუკა, საკონსტიტუციო სასამართლოში განვითარებულ მოვლენებს როგორ აფასებთ? ერთი მხრივ, 5 მოსამართლე უპირისპირდება დანარჩენებს, მეორე მხრივ, პაპუაშვილი სერიოზული ბრალდებებით გამოდის.

– თავისთავად პროცესი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოში მიმდინარეობს, მოსამართლეებს შორის დავა, კამათი, რომელიც გარეთ გამოვიდა, ძალიან ცუდია. ეს ამ მოსამართლეებს არ გაუკეთებიათ, ეს გამოიტანა სასამართლოს თავმჯდომარემ.

საკონსტიტუციო სასამართლო ქვეყანაში არის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი და მასზე საუბარიც კი ასე ხელაღებით დაუშვებელი უნდა იყოს, თუმცა ვხედავთ, როგორ განვითარდა მოვლენები. მას შემდეგ, რაც მაჟორიტარულ ოლქებთან დაკავშირებით სარჩელზე მოსამართლეთა ხმები გაიყო, სწორედ ამის შემდეგ გამოვიდა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და გააკეთა ცნობილი განცხადება და ისაუბრა „ვიღაცაზე“ განხორციელებულ ზეწოლაზე.

– არ გჯერათ პაპუაშვილის განცხადების?

– ეს იყო უსაგნო განცხადება და ამის თქმის საფუძველს მაძლევს ის, რომ არცერთმა მოსამართლემ ეს არ დაადასტურა.

– არ უნდა ესაუბრა ამაზე ღიად პაპუაშვილს? მისი მხრიდან ხომ სერიოზულ ბრალდებაზე იყო საუბარი.

– რამდენად დამაჯერებელი იყო პაპუაშვილი, ეს მეორე საკითხია და გამოძიებამ უნდა დაადგინოს, მაგრამ ორ თუ სამ საქმეზე გამოძიება იყო დაწყებული და აბსოლუტურად უსაგნო იყო განცხადება, რომ სასამართლოს მიმართ ვიღაცამ უპატივცემლობა გამოამჟღავნა და ზეწოლას ჰქონდა ადგილი. ეს არ დადასტურდა და ეს საქმეები დასასრულამდე ვერ მივიდა.

თურმე ვიღაცას ტელეფონზე ხელი დაეჭირა და არ ყოფილა ზეწოლა. ასევე ვიღაცას მოეჩვენა, რომ შეაგინა თუ შეურაცხყოფა მიაყენა. ახლა არის მე-4 შემთხვევა, როდესაც პაპუაშვილი აცხადებს, რომ ვიღაცაზე განხორციელდა ზეწოლა. ამ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ პირველ რიგში საქმის კურსში უნდა ჩააყენოს საგამოძიებო სამსახური.

– ღია განცხადება გავაკეთე და შოთაძის უწყება ვალდებული იყო, გამოძიება დაეწყოო.

– თუ მართლა იყო ბუნებაში ასეთი ფაქტი, რა თქმა უნდა, უნდა დაეწყო, მაგრამ პაპუაშვილმა განცხადება გააკეთა ერთ-ერთ საქმეზე მოსამართლეთა ხმების გაყოფის შემდეგ და იქვე თქვა, რომ პროკურატურას არ ენდობა და არ აპირებს მისვლას.

– თქვენ საერთოდ გამორიცხავთ მსგავს ფაქტს? ისიც ითქვა, რომ შეიძლება ზეწოლა საერთოდ ქვეყნის გარედან მოდიოდა. მინიშნება იყო ნაციონალურ მოძრაობაზე. რატომ არ დაიწყო თავის დროზე გამოძიება?

– პაპუაშვილმა უნდა თქვას, ვისი მხრიდან იყო ზეწოლა, ასევე უნდა თქვას: მისი ნება იყო თუ დამოუკიდებლად იღებდნენ გადაწყვეტილებას მოსამართლეები საქმეების ფორსირებულად განხილვის, განმწესრიგებელი სხდომების დანიშვნის დროს.

მე არ ვამბობ, რომ ზეწოლას ჰქონდა ადგილი, შეიძლება, პირადი სიმპათიებით მოქმედებდა რომელიმე პარტიის მიმართ, ასევე თქვას, ვინ ჩახედა ერთ-ერთი საქმის სარჩელს, ნახა, რომ ხარვეზი იყო და უკან გაატანა სარჩელი გამოსასწორებლად, თუმცა შეიძლება მოსამართლე არც იყო და კანცელარიის თანამშრომელმა ჩახედა. ამას არ აქვს მნიშვნელობა. აქ მთავარია, რატომ მოხდა ეს ფაქტი და ვისი გავლენით მოხდა?! ამაზე ხომ ვერ იტყვიან, რომ ხელისუფლების გავლენით ან ზეწოლით მოხდა?! ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი.

– ბატონო მამუკა, ერთ-ერთმა მოსამართლემ, ვარძელაშვილმა, როდესაც პროკურატურაში მივიდა, ჟურნალისტებთან მინიშნება გააკეთა. მას არ დაუდასტურებია, პირადად მასზე საუბრობდა თუ არა პაპუაშვილი.

– ვარძელაშვილმა საკუთარ თავზე კი არ გააკეთა მინიშნება, თქვა, ყველა მოსამართლემ რომ თქვას, ჩემზე არ ყოფილა ზეწოლა, მერე გამორიცხვის მეთოდით მიხვდებით, ვისზეა საუბარიო.

– რას იტყვით მოსამართლეთა დაპირისპირებაზე? ხუთმა მოსამართლემ წერილი გამოაქვეყნა, რასაც არ ეთანხმებიან დანარჩენები.

– ხუთმა მოსამართლემ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც მათ თავმჯდომარეს მიმართეს და ორი რამ სთხოვეს: პირველი, ფორსირებულ რეჟიმში არ განიხილოს საქმეები. ეს იქნება რუსთავი 2-ის საქმე თუ სხვა ნებისმიერი საქმე. ამ შემთხვევაში რაზეც მოსამართლეები აქცენტს აკეთებენ, არის ის, რომ საქმე პლენუმს გადაეცა და მეორე დღესვე დაინიშნა პროცესი. ეს ნიშნავს იმას, რომ მოსამართლეს არ ეძლევა საშუალება, წაიკითხოს და გაეცნოს საქმის მასალებს.

ამაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ როგორც ამ 5 მოსამართლის განცხადებიდან ჩანს, ადგილი ჰქონდა ერთ-ერთ საქმეზე სარჩელის შეცვლას, დანარჩენმა სამმა კი თქვა, ეს ჩვეულებრივი ამბავია, რადგან დაზუსტება ხშირად ხდებაო.

– თქვენ რა ეჭვი გაქვთ?

– ის ეჭვი, რომ ასე არ ხდება, ბატონებო! კანონით აკრძალულია მოთხოვნის დამატება. სწორედ მსგავს პრეცედენტზე საუბრობს ეს 5 მოსამართლე, რომლებიც აცხადებენ, რომ მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა და, როგორც ჩანს, რეაგირება არ იყო.

– ამით რას ამბობთ?

– ვიღაცამ ლობირება გაუწია მოთხოვნის დამატებას, ჩახედა და თქვა, აქ მოთხოვნაა დასამატებელიო, რაც კანონით დაუშვებელია. ეს არის ლოგიკა, რომელიც იკითხება. უკან გაატანეს და შემოატანინეს ახალი ისეთი სარჩელი, სადაც მოთხოვნა იყო დამატებული. ეს გაუგონარი უკანონობა გახლავთ.

– რა მოლოდინი გაქვთ გამოძიებისგან? ახლა მტკიცების ტვირთი შოთაძის უწყებაზე მოდის. ძალიან მნიშვნელოვანია, რას იტყვის პროკურატურა, მით უფრო, არჩევნების წინ.

– მე ობიექტურ გამოძიებას ველოდები. რაც უნდა დამაზიანებელი იყოს გამოძიების შედეგები ნებისმიერი პარტიისთვის, ძალიან მინდა, რომ პროკურატურამ ობიექტური შედეგი დადოს. აქ საუბარი არჩევნებზე კი არა, ქვეყნის ინტერესებზეა. ერთი პროცენტითაც არ ვუშვებ, რომ ხელისუფლების მხრიდან იყო ზეწოლა, მაგრამ გამოძიება უნდა იყოს ობიექტური.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს გაუგონარი ფაქტი, რომელზეც ვისაუბრე, კარგად იყოს შესწავლილი, გამოძიებული. ძალიან საშიში პრეცედენტია, თუ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელების შეცვლა და ასეთი ლობისტობა ხდება.

დავით ბაქრაძე თავდაცვის მინისტრი ხდება?

საქართველოს თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე ევროინტეგრაციის მინისტრი დავით ბაქრაძე ინიშნება.

პირველი რადიოს ინფორმაციით, ბაქრაძეს თავდაცვის მინისტრის პოსტზე პრემიერ-მინისტრი ორშაბათს ოფიციალურად წარადგენს.

კვირიკაშვილის გადაწყვეტილებით, დავით ბაქრაძე თანამდებობას იმ შემთხვევაშიც შეინარჩუნებს, თუ 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნება“ გამარჯვებას მოიპოვებს.

შეგახსენებთ, რომ დავით ბაქრაძე, მინისტრთა კაბინეტის წევრობის გარდა, „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრიც არის. ის პოლიტსაბჭოს წევრად პრემიერმა კვირიკაშვილმა პარტიულ ყრილობაზე წარადგინა.

პირველი რადიო

ეკა გიგაური: „ნაცნობობით სამსახურის შოვნა არ დასრულდა“

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ დირექტორი ეკა გიგაური ევროპულ სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ ევა გოცირიძის წარდგენის ფაქტს კიდევ ერთხელ ეხმაურება.

გიგაური შეფასებას ფეისბუქის საკუთარ გვერდზე აკეთებს და წერს:

– რაც არ უნდა ილაპარაკოს მთავრობამ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში კანდიდატების შერჩევა ღია და გამჭვირვალე პროცესის შედეგად მოხდა, შედეგი ხომ ის არის, რომ ორი კანდიდატი დარჩა: ერთი იუსტიციის მინისტრის ოჯახის ახლობელი და მეორე – იუსტიციის მინისტრის მოადგილე და ნდობით აღჭურვილი პირი. ამ ფორმალობების აღარ სჯერა არავის. ამ საქართველოში კიდევ ნაცნობობით სამსახურის შოვნა არ დასრულდა.

პირველი რადიო

ირაკლი შოთაძე: „კორცხელის ბრალდებულებისთვის ფულად გადარიცხვებთან კალაძის კომპანიის კავშირს ვსწავლობთ“

საქართველოს მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ ტელეკომპანია „იმედისთვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში კორცხელის ინციდენტზე ისაუბრა.

მთავარი პროკურორის განცხადებით, მომხდარზე გამოძიება სწრაფად დასრულდება.

მისი თქმით, მთავარი საგამოძიებო ორგანო ამ ეტაპზე ტრანზაქციებს სწავლობს.

ირაკლი შოთაძის განცხადებით, უახლოეს მომავალში გაკეთდება განცხადება, განხორციელდა თუ არა ინციდენტში ბრალდებული სპორტსმენების ანგარიშზე ფულადი გადარიცხვები ვიცეპრემიერ კახი კალაძის სახელთან დაკავშირებული შპს „კალა კაპიტალიდან“, რომლის წილის 100%-ს ახლა კვიპროსის ოფშორში რეგისტრირებული „კალა კაპიტალ ლიმითედი“ ფლობს.

პირველი რადიო

დავით უსუფაშვილი: „ასე მუშაობა აღარ შეიძლება“

პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი საკონსტიტუციო სასამართლოში შექმნილ ვითარებას კრიზისულს უწოდებს.

როგორც მან „იმედის“ გადაცემა „პოლიტიკაში“ სტუმრობისას განაცხადა, საკონსტიტუციო სასამართლოში მდგომარეობის გაჯანსაღებას ხელი უნდა შეუწყოს სამი ახალი მოსამართლის დანიშვნამ.

– საკონსტიტუციო სასამართლოში შექმნილ ვითარებას უკვე თამამად შეგვიძლია დავარქვათ კრიზისული ვითარება. ასე მუშაობის გაგრძელება არათუ შეუძლებელია, არამედ სერიოზული საფრთხის შემცველია, იმიტომ, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები არის საბოლოო.

სექტემბერში სამი ახალი მოსამართლეა დასანიშნი, ორი – პრეზიდენტის და ერთი – პარლამენტის მიერ. მე, პირადად, ყველა ღონეს ვიხმარ, რომ პარლამენტმა ეს შეძლოს. სამი ახალი წევრი თუ დაინიშნება და ეს წევრები იქნებიან არა მარტო პერსონალურად მზად ამ საქმისთვის, არამედ თვითონ საკონსტიტუციო სასამართლოში მდგომარეობის გაჯანსაღებას შეუწყობენ ხელს, ეს არის გამოსავალი, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„გოდერძი ბუკია რომ გყავს, სხვას კოტე კემულარია არ უნდა წამოაძახო“

მერაბ მეტრეველი: „ქართული ოცნება“ ჩვენს ჩაძირვასა და ნაციონალების გათრევას ცდილობს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ დაასახელეს მაჟორიტარობის კანდიდატად ყოფილი ნაციონალი, რატომ ცდილობს „ქართული ოცნება“ ბურჭულაძის პარტიის ჩაძირვას, რა დასკვნა გამოიტანეს ენდიაის მიერ ჩატარებული ბოლო კვლევებიდან? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ „სახელმწიფო ხალხისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი მერაბ მეტრეველი ესაუბრება.

– გასულ კვირას გამოქვეყნდა მორიგი კვლევა, სადაც თქვენი პარტია მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა. აქამდე სულ მესამე პოზიცია გეკავათ. რას უკავშირდება პარტიის რეიტინგის კლება?

– ამ კვლევებს დიდ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებ. შედეგების პრეზენტაციისას ენდიაის ქართული ბიუროს ხელმძღვანელმა თავად განაცხადა, იმდენად მაღალია გადაუწყვეტელი ამომრჩეველი, რომ ჩვენი კვლევა არჩევნების შედეგების პროგნოზისთვის არ გამოდგებაო, ღამის პირდაპირ გვითხრა, ჩვენს კვლევას ნუ ენდობითო.

– და ამიტომ არ ანიჭებთ ამ კვლევას დიდ მნიშვნელობას?

– როდესაც გამოკითხულთა 57% ამბობს, რომ ჯერ არ გადაუწყვეტია, ვის მისცემს ხმას, ასეთ დროს ვის რა რეიტინგი აქვს, ძალიან უმნიშვნელოა. არჩევნების დღეს გადაუწყვეტელმა 57%-მა შესაძლოა ისე შეცვალოს სურათი, რომ ყველაფერი თავდაყირა დადგეს.

ამ მაჩვენებლიდან გამომდინარე, აზრი დაკარგა კითხვამ, ვის მისცემ არჩევნებზე ხმას. ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა იყო, რომელია პარტია, რომელსაც არასდროს მისცემ ხმას. „ქართულმა ოცნებამ“ და ნაციონალებმა ამ მიმართულებითაც მაღალი შედეგი აჩვენეს. ჩვენზე არავის უთქვამს, რომ ხმას არასდროს მოგვცემენ. ეს იმას ნიშნავს, რომ უარყოფითი რეიტინგი არ გვაქვს. „სახელმწიფო ხალხისათვის“ ახალი პარტიაა და ხალხის გაღიზიანებაც ნაკლებია.

– შედეგებს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებთ, მაგრამ აშკარაა, შედეგებით კმაყოფილი ხართ.

– რადგან ჩვენ უარყოფით რეიტინგში არ მოვხვდით, ეს გვაძლევს იმის შანსს, რომ ჩვენკენ წამოვიყვანოთ ის 57%, რომელსაც ჯერ გადაწყვეტილება არ აქვს მიღებული. სწორად თუ ვიმუშავებთ, ამის მიღწევა შეიძლება.

– ჯერ სწორად არ მუშაობთ?

– საარჩევნო კამპანია ჯერ არ გახურებულა. ის თავის პიკს სექტემბერში მიაღწევს და მაშინ გვმართებს სწორი მუშაობა. ბევრი რამე გვაქვს გასაკეთებელი. კარგად უნდა წარმოვაჩინოთ საარჩევნო პროგრამა და ის ამომრჩევლამდე მივიტანოთ. წარმოსაჩენია გუნდის კომპეტენტურობა. ახლა რა მხარდაჭერაც გვაქვს, ეს პაატა ბურჭულაძის დამსახურება, პირადი რეიტინგია. ახლა პარტიამაც უნდა იმუშაოს რეიტინგის გაზრდაზე.

დღეს საქართველოში მთავარი პრობლემა ნიჰილიზმია. რეგიონებში ბევრს დავდივართ და იქ განსაკუთრებით აშკარაა ეს ნიჰილიზმი. მოსახლეობა პირდაპირ ამბობს, რომ არავისი აღარ სჯერა. ხალხი როგორმე უნდა დავარწმუნოთ, რომ არჩევნებზე წასვლა მაინც ღირს.

– თქვენმა პარტიამ ფოთის მაჟორიტარად დაასახელა ყოფილი ნაციონალი კოტე კემულარია. ამან საზოგადოება გააღიზიანა.

– ჩვენ ადამიანებს ყოფილ ნაციონალებად და ყოფილ მეოცნებეებად არ ვყოფთ. საქართველო პოლიტიზებული ქვეყანაა და აქ ოდესღაც ვიღაც რომელიმე პარტიის წევრი იყო. მთავარია, ამ ადამიანს დანაშაული არ ჰქონდეს ჩადენილი.

– „ქართული ოცნება“ ამბობს, რომ კემულარიას გვერდზე დაყენებით ხაზი გაუსვით იმას, თუ ვისი სატელიტები ხართ.

– „ქართული ოცნება“ ნაციონალების სატელიტებად ბევრად ადრე მოგვიხსენიებდა, ვიდრე კემულარია მოვიდოდა ჩვენთან. რაც შეეხება კემულარიას, ეს ადამიანი ნაციონალური მოძრაობიდან 2007 წელს წამოვიდა. „ქართულმა ოცნებამ“ ვის რა უნდა წამოაძახოს, როცა თავად საპარლამენტო უმრავლესობა ნაციონალების

დახმარებით შეინარჩუნეს, ხობის მაჟორიტარად კი გოდერძი ბუკია დაასახელეს. ეს ის ბუკიაა, რომელმაც ნაციონალებს ზურგი არც იმ ცნობილი ცოცხების კადრების შემდეგ აქცია და 2012 წლის არჩევნებში 5 ნომრით მიიღო მონაწილეობა.

ჩვენს პარტიაში „ქართული ოცნებიდანაც“ გადმოვიდნენ. დუშეთის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ლაფანაშვილი ადრევე შეგვიერთდა. ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ.

– პარტიის რეიტინგ ზე საუბრისას აღნიშნეთ, აქამდე რა რეიტინგიც გვქონდა, პაატა ბურჭულაძის პირადი რეიტინგი იყოო. მისი პირადი რეიტინგიც ხომ არ შემცირდება? მის სახელს ბოლო ხანებში არაერთი სკანდალი დაუკავშირდა.

– ეს არ არის სკანდალი, ეს არის შავი პიარი, რომლის უკანაც „ქართული ოცნება“ დგას. თავიდან ნაციონალების სატელიტის იარლიყი მოგვაწებეს. მათ კარგად იციან, რომ ხალხს სძულს ყოფილი ხელისუფლება და მათთან კავშირში თუ იქნები, შენი რეიტინგიც დავარდება. ამ თემაზე რამდენიმე თვეა, რაც მუშაობენ და, ეტყობა, ეს ეტაპი მოილიეს. ახლა გადავიდნენ მეორე შეტევაზე და გადაწყვიტეს, პაატას პირად რეიტინგს დაარტყან. ყველაზე ცუდი ისაა, რომ შეტევა ფონდ „იავნანაზე“ მიიტანეს, რომელსაც უამრავი კარგი საქმე აქვს გაკეთებული.

ამ დღეებში ფონდი „იავნანა“ გამართავს პრესკონფერენციას, სადაც დეტალურად იქნება საუბარი, სად და როგორ იხარჯებოდა თანხები. მოსახლეობა ყველაფერს გაიგებს.

ნაციონალების სატელიტობას ჩვენ გვაბრალებენ, საქმით კი ნაციონალების საქმეს აკეთებენ. ჩვენ გვძირავენ იმისთვის, რომ მათი მთავარი კონკურენტი ყოფილი ხელისუფლება იყოს. ნაციონალური მოძრაობა გასვრილი ძალაა და მას შეგიძლია, ყველაფერი წამოაძახო. ჩვენ არაფერი გვაქვს წამოსაძახებელი, ამიტომაც ცდილობენ მათ გაყვანას.

ვალერი გელაშვილი შვილის ქორწილიდან ჩამოიყვანეს

შორენა მარსაგიშვილი

„ოცნებამ“ შიდა ქართლის მაჟორიტარობის კანდიდატები დაასახელა



შიდა ქართლის რეგიონის „ქართული ოცნების“ მაჟორიტარების ვინაობა 31 ივლისამდე გასაიდუმლოებული იყო. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მმართველ გუნდში სათანადო კანდიდატების შერჩევა ძალიან გაუჭირდათ.

რამდენიმე დღის წინ თითქმის გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ ხაშურში მაჟორიტარად ვაჟა შუბითიძის კანდიდატურას წამოაყენებდნენ, 30 ივლისს კი გადაწყვეტილება შეცვალეს და არჩევანი ისევ ვალერი გელაშვილზე შეაჩერეს.

როგორც „ახალ თაობას“ ვალერი გელაშვილს მისი გარემოცვიდან აცნობეს, ეს უკანასკნელი არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად აპირებდა. აღსანიშნავია, რომ აქამდე მას სამი არჩევნები აქვს მოგებული.

„ოცნებაში“ დიდი ფიქრის შემდეგ გააცნობიერეს, რომ მან შესაძლოა მეოთხედაც მოიგოს არჩევნები და ამიტომაც კვლავ მას უხმეს.

გელაშვილი ამ დღეებში ლიტვაში იმყოფებოდა. მას ქალიშვილის ქორწილი ჰქონდა და მეოცნებეებმა პირდაპირ ამ ქორწილიდან გამოაქციეს. დეპუტატი ლიტვიდან გუშინ, 31 ივლისს, გამთენიისას დაბრუნდა, საღამოსთვის კი დეპუტატობის კანდიდატად დაასახელეს.

გორში „ქართულ ოცნებას“ მაჟორიტარობის 2 კანდიდატი ეყოლება, ერთი ქალაქში, ხოლო მეორე – მუნიციპალიტეტში.

2012 წელს გორელებმა მხოლოდ ერთი მაჟორიტარი აირჩიეს. ის კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი სოსო ვახტანგაშვილი იყო. ეს უკანასკნელი კოალიციაში ეროვნულ ფორუმთან ერთად შევიდა და კოალიციის დაშლის შემდეგ მათთან ერთად წამოვიდა. გორის მაჟორიტარობისათვის ის ახლა ფორუმის სახელით იბრძოლებს.

რაც შეეხება საოცნებო კანდიდატებს, ერთი მათგანი მოქმედი დეპუტატია, ხოლო მეორე – ფართო მასებისთვის ახალი სახე. გორში მაჟორიტარობის კანდიდატი იოსებ მაკრახიძე, გორის რაიონში – თენგიზ ხუბულური. ეს უკანასკნელი რამდენიმე დეპუტატთან ერთად ავტოავარიაში მოხვდა. ახლა ის თავს კარგად გრძნობს და მაჟორიტარის მანდატისთვის აპირებს ბრძოლას.

კასპის მაჟორიტარად 2012 წელს დავით ონოფრიშვილი აირჩიეს. მან კოალიცია თავისუფალ დემოკრატებთან ერთად დატოვა და ვეღარ იქნებოდა „ოცნების“ კანდიდატი.

თავისუფალი დემოკრატების განდგომის შემდეგ ანუ 2014 წლიდან იმაზე საუბრობდნენ, რომ „ოცნების“ რჩეული კასპში ოლეგ იაძე იქნებოდა. 31 ივლისისთვის გადაწყვიტეს, რომ კასპელთა ხმებისა და გულის მოსაგებად ირაკლი მეზურნიშვილი იბრძოლებს.

ქარელში არჩევნები „ოცნების“ კანდიდატ ლერი ხაბელოვს ჰქონდა მოგებული. ამბობდნენ, რომ ამ რაიონში ისევ მისი კანდიდატურა იქნებოდა წარდგენილი. მეორე ვერსიით შოთა ხაბარელის კანდიდატურა განიხილებოდა. ეს უკანასკნელი წარმოშობით ამ რაიონიდან არის. 2012 წელს მან კრწანისის რაიონში მოიგო მაჟორიტარული არჩევნები.

„ოცნებამ“ ქარელის ოლქი არცერთი მათგანისთვის არ გაიმეტა და ამ რაიონის მაჟორიტარად გიორგი თოთლაძის კანდიდატურა წარადგინა.

როგორც ამბობენ, კანდიდატად დასახელება თოთლაძისთვისაც მოულოდნელი იყო. ის 31 ივლისის დილას დაიბარეს პარტიის ცენტრალურ ოფისში და მისი თავი აქტივისტებს ჩააბარეს.

რაც შეეხება ჯერ ისევ მოქმედ მაჟორიტარს, დაუზუსტებელი ინფორმაციით, ხაბელოვი შესაძლოა თბილისის ერთ-ერთ რაიონში წარადგინონ. ხაბარელი კი, სავარაუდოდ, ბიზნესში წავა. რამდენიმე თვის წინ მან ჭავჭავაძის გამზირზე ცათამბჯენის მშენებლობა დაიწყო.

შიდა ქართლამდე მმართველმა ძალამ მაჟორიტარები მცხეთა-მთიანეთის რეგიონში წარადგინა. წინა არჩევნებზე აქ 4 მაჟორიტარი აირჩიეს, ახლა კი მხოლოდ 2 დეპუტატის ამარა უნდა დარჩნენ. მცხეთისგან განსხვავებით, დუშეთს, ყაზბეგსა და თიანეთს საერთო მაჟორიტარი ეყოლება.

მთელი ეს პერიოდი იმაზე საუბრობდნენ, რომ სამი რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატი ირაკლი ტრიპოლსკი იქნებოდა. ამისთვის თავადაც ემზადებოდა, მცხეთის მაჟორიტარად კი დიმიტრი ხუნდაძე სახელდებოდა, რომელმაც მცხეთელთა გული 2012 წელს ერთხელ უკვე მოიგო.

დიმიტრი ხუნდაძის შემთხვევაში პროგნოზმა გაამართლა, 3 რაიონის საზიარო დეპუტატობის კანდიდატად კი ზაქარია ქუცნაშვილი დაასახელეს, რომელიც ამ დროისთვის თიანეთის მაჟორიტარი დეპუტატია.

2012 წელს „ქართულმა ოცნებამ“ შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის ყველა მაჟორიტარული ოლქი მოიგო. წელს თავადაც ამბობენ, რომ გაუჭირდებათ. დაუზუსტებელი ინფორმაციით, გორში ძალების მოსინჯვას თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილიც აპირებს. ის ამ დროისთვის გორის საკრებულოს თავმჯდომარის მრჩევლის პოზიციაზე მუშაობს.

◆ ◆ ◆

შიდა ქართლის მაჟორიტარობის კანდიდატებს პრემიერი დღეს, 1 აგვისტოს, წარუდგენს ყველა რაიონს. საინტერესოა, მოხდება თუ არა იგივე ინციდენტი, რომელსაც ტყიბულში ჰქონდა ადგილი.

ამ რაიონში მაჟორიტარობის 2 კანდიდატი სახელდებოდა – მოქმედი ელისო ჩაფიძისა და ახალი სახის მამუკა მდინარაძის. ამ უკანასკნელს საარჩევნო შეხვედრები უკვე დაწყებული ჰქონდა.

საბოლოოდ იქ ელგუჯა გოცირიძის კანდიდატურა დაასახელეს. როცა ის ტყიბულში ჩაიყვანეს, ელისო ჩაფიძემ სერიოზული სკანდალი მოაწყო. როგორც „ახალ თაობას“ იმ შეხვედრის მონაწილემ ამცნო, მოქმედი მაჟორიტარი პრემიერ კვირიკაშვილს ეჩხუბა.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

ნატო თურქეთის გარეშე?

სოსო ზაალიშვილი

ირანისა და თურქეთის დაახლოება დასავლეთს პრობლემებს შეუქმნის

თურქეთში სიტუაცია სულ უფრო იძაბება. ერდოღანმა ყველაზე კარგად იცის, რით შეიძლება დაამთავროს პოლიტიკური კარიერა და არა მარტო კარიერა, არამედ სიცოცხლეც, ხელისუფლების დაკარგვის შემთხვევაში.

რამდენიმე წელი ის და მისი გუნდი ყველაფერს აკეთებდნენ რეგიონში არეულობის მხარდასაჭერად. ჯიჰადისტების მომზადება, მათთვის ბაზების შექმნა, შეიარაღება, სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდება, „არაბული გაზაფხულის“ მხარდაჭერა მისი საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი განმსაზღვრელი ვექტორი გახლდათ.

მაშ, რით ვერ დაიმსახურა ისლამური სამყაროს „მომავალმა სულთანმა“ ნდობა? რა გახდა მისი ჩანაცვლების ოპერაციის დაწყების მიზეზი? იქნებ თურქეთის პრეზიდენტს მოეჩვენა ყველაფერი და მისი დაბინდული გონების ნაყოფია ყოველივე? იქნებ არანაირი გადატრიალება და მისი ხელისუფლებისგან ჩამოშორების გეგმა არ მზადდებოდა და ეს მხოლოდ ილუზიაა?

საინტერესოა ისიც, თუ როგორ მოახერხა მარტოდ დარჩენილმა ერდოღანმა ასეთ მაღალ დონეზე მომზადებული სამხედრო გადატრიალების ჩახშობა, როდესაც თითქმის მთელი გენერალიტეტი, სამხედრო დაზვერვა, პრეზიდენტის გვარდია, პოლიციის მაღალჩინოსნები, პროკურორები და მოსამართლეები მონაწილეობდნენ პრეზიდენტის დამხობის გეგმაში. ვინ მიაწოდა ერდოღანს ასეთი ინფორმაცია? რა მიზანს ემსახურებოდა მისი ხელისუფლების შენარჩუნება?

არსებული ინფორმაცია და ფაქტები არ იძლევა საშუალებას თურქეთში მიმდინარე მოვლენების სრული ანალიზისათვის, მაგრამ რამდენიმე დეტალი გარკვეული აქცენტების დასმის საშუალებას იძლევა.

ერდოღანს აშკარად აქვს გარკვეული სადაზვერვო ინფორმაცია. ის ფაქტი, რომ მან პირდაპირ დასდო ბრალად აშშ-ის შეიარაღებული ძალების ცენტრალური სარდლობის მეთაურს ჯოსეფ ვოტელს სამხედრო გადატრიალების მხარდაჭერა, უკვე მრავლისმეტყველი ამბავია.

დაწინაურებამდე ჯოსეფ ვოტელი ახლო აღმოსავლეთში ამერიკის სპეციალური ოპერაციების ხელმძღვანელი გახლდათ. ის მონაწილეობდა ერაყის კამპანიაშიც. ვოტელის დამორჩილებაში მყოფი ინსტრუქტორები ამზადებდნენ მოჯაჰედებს ლიბიასა და სირიაში არსებული რეჟიმების წინააღმდეგ ბრძოლისთვის ანუ დიდი ხნის განმავლობაში ვოტელი და ერდოღანი ასადისა და კადაფის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური პარტნიორები გახლდნენ.

ამერიკელმა გენერალმა ერდოღანის მოსაზრებას უსაფუძვლო უწოდა, მაგრამ თურქეთის პრეზიდენტი, ალბათ, არ დააკმაყოფილა ამ პასუხმა. მისმა მომხრეებმა, თურქეთის პოლიციის ნაწილებთან ერთად, ინჯირლიკის სამხედრო ბაზას გაუკეთეს ბლოკირება.

ინჯირლიკის ბაზა თურქეთის სამხრეთში არსებული ნატოს განკარგულებაში მყოფი ავიაბაზაა. ამ ბაზიდან ახორციელებდნენ ნატოსა და თურქეთის თვითმფრინავები ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ საჰაერო შეტევებს.

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების დათბობის შემდეგ მეორე დღეს გავრცელდა ინფორმაცია, რომ თურქეთის ხელისუფლება საავიაციო ბაზის ტერიტორიაზე რუსული თვითმფრინავების განლაგებას აპირებდა. მაშინ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ილდირიმ ბინალიმ გავრცელებული ცნობა უარყო. იმავე დღეს დაიწყო გადატრიალება.

◆ ◆ ◆

ბოლო ერთი თვის განმავლობაში თურქეთის საგარეო კურსში მომხდარი ცვლილებები მრავლისმეტყველი ფაქტია, მაგრამ არასწორი იქნებოდა, მხოლოდ ეს ჩაითვალოს ერდოღანის დავითოღლუთი ან კიდევ ვინმე სხვა ახალი ლიდერით ჩანაცვლების მიზეზად.

აშშ-სა და მის პარტნიორებს ახლო აღმოსავლეთში კარგად ორგანიზებული სამხედრო სადაზვერვო სტრუქტურა გააჩნიათ. ისინი ერდოღანის ჩანაცვლების ოპერაციის ორგანიზებას უფრო მაღალ დონეზეც მოახერხებდნენ. თავად თურქეთის პრეზიდენტმა თქვა, რომ ჰაერში მყოფი მისი თვითმფრინავი პუტჩის დაწყებიდან რამდენიმე საათში ორ სამხედრო თვითმფრინავს მიზანში ჰქონდა ამოღებული და თავადაც ვერ მიხვდა, რატომ არ გაუხსნეს ცეცხლი. ამის გამო მრავალი ანალიტიკოსი და კონსპიროლოგიური თეორიების მომხრე თავად ერდოღანს სდებს ბრალად პუტჩის ორგანიზებას.

თუმცა, ეს თეორია კრიტიკას ვერ უძლებს. ერდოღანს არაფერში სჭირდებოდა პუტჩის ორგანიზება ცვლილებების განსახორციელებლად. პუტჩმა თურქული სახელმწიფო სტრუქტურების რღვევა გამოიწვია, ეს კი თავად პრეზიდენტის უსაფრთხოებას ემუქრება.

თურქეთის ტერიტორიაზე მრავალი ტერორისტული დაჯგუფება მოქმედებს. ბევრ მათგანს მთლად გულზე არ ეხატება ერდოღანი. პრაქტიკულად განადგურებული სამხედრო დაზვერვისა და უშიშროების სისტემა ნამდვილად არ უქმნის თურქეთის პრეზიდენტს უსაფრთხოების უფრო მეტ გარანტიას.

რუსული ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების ეს-400 ტრიუმფის სირიის ტერიტორიაზე განლაგების შემდეგ ინჯირლიკის ბაზიდან თვითმფრინავების სირიის ტერიტორიაზე გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. ახლო აღმოსავლეთი რუსული და მოკავშირეების მოქმედების ზონად გაიყო. სირია რუსული გავლენის სფეროდ იქცა, ხოლო ერაყი – ამერიკისა და მისი მოკავშირეების.

ორივე ზონაში მოქმედებს ირანის სამხედრო შენაერთები.

ინჯირლიკის სამხედრო ბაზის ბლოკირებითა და ნატოსა და აშშ-ის ავიაციისთვის მოქმედების შეზღუდვით ერდოღანი რამდენიმე კურდღლის ერთად მოკვლას გეგმავს.

ინჯირლიკის საჰაერო ბაზას რამდენიმე ფუნქცია ჰქონდა. მთავარი რუსეთის სამხრეთისკენ მილიტარისტული მისწრაფებების შეკავებაა. ამავდროულად, ამ ბაზას ირანიდან მომავალი საჰაერო საფრთხის ნეიტრალიზებაც შეეძლო.

თუ ნატომ დაკარგა ამ ბაზით ოპერირების საშუალება, საფრთხე შეექმნება ერაყში წარმოებულ სამხედრო ოპერაციასაც, რადგან ამ ბაზაზე არსებული ამერიკისა და მოკავშირეების ავიაცია სწორედ ერაყის ტერიტორიაზე ასრულებდა საჰაერო ოპერაციას. ერაყის კამპანია ჰაერიდან მხარდაჭერის გარეშე დარჩება, რაც გააძლიერებს ირანის როლს რეგიონში.

ერთი მხრივ, ეს ერდოღანის მიერ რუსეთისთვის გაკეთებული საჩუქარია, პასუხი ნატოს აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოების პროგრამაზე. მეორე მხრივ, ერდოღანი ისლამური სახელმწიფოს ჯიჰადისტებს ამოსუნთქვის საშუალებას აძლევს, რადგან სწორედ ავიაცია ანადგურებდა მებრძოლების ძირითად ნაწილს. ერდოღანი ირანსაც უგორებს კოჭს, რადგან ინჯირლიკის სამხედრო ბაზის გაანეიტრალება ირანის გავლენას აძლიერებს და ამერიკელებს უფრო ინტენსიური თანამშრომლობა მოუწევთ ისლამურ რესპუბლიკასთან, რათა ერაყში არსებული სიტუაცია კონტროლიდან არ გამოვიდეს.

◆ ◆ ◆

თურქეთში სახელმწიფო გადატრიალებისთვის მზადების პროცესები ბევრად ადრე დაიწყო.

დაახლოებით ერთი წლის წინ, 2015 წლის 9 ივლისს, თურქეთში თანამდებობიდან გაათავისუფლეს 50-მდე მოსამართლე და პროკურორი, რომლებიც მონაწილეობდნენ ჯიჰადისტური დაჯგუფების ტაუჰიდ-სალამის (ისლამური მონოთეიზმი და მშვიდობა) წინააღმდეგ წამოწყებულ გამოძიებაში.

ამ რადიკალურ ორგანიზაციას თურქეთში იერუსალიმის არმიის სახელითაც იცნობენ. იგი ირანის მხარდაჭერით სარგებლობს.

2014 წლის მარტში სტამბოლის პოლიციის დაზვერვის განყოფილების ხელმძღვანელი ალი ფუატ ილმაზერი ამტკიცებდა, რომ ირანის მიერ მხარდაჭერილ და მისი ფინანსებით შექმნილ ლივანურ შიიტურ ტერორისტულ ორგანიზაცია ჰესბოლას მყარი კავშირი გააჩნია თურქეთის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში.

მისი ცნობით, ტაუჰიდ-სალამს მხარს უჭერდნენ თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრი აფკან ალა და ეროვნული დაზვერვის ხელმძღვანელი ჰაკან ფიდანი. ერდოღანის მიერ გადატრიალების ორგანიზებაში დადანაშაულებული ფეთჰულა გიულენის გაზეთი „ზამანი“ იმ დროს წერდა, რომ ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს გააჩნდა საკმარისი სამხილი ჰაკან ფიდანისა და ტაუჰიდ-სალამის კავშირების შესახებ.---

თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა და დღეისათვის ამ ქვეყანაში არსებული სიტუაცია განვითარების რამდენიმე ვარიანტს არ გამორიცხავს.

ერთი მათგანი ირანისა და თურქეთის დაახლოებაა. ისტორიულად ეს ორი ქვეყანა რეგიონში ყოველთვის ერთმანეთის მოწინააღმდეგე იყო, თუმცა დღეს მათ საერთო ინტერესებიც გაუჩნდათ. ესენია ნავთობის ტრანსპორტირება და ბირთვული ამბიციები.

თუ საერთო ინტერესები გადასძალავს არსებულ დაპირისპირებას, დასავლეთს სერიოზული პრობლემა შეექმნება. დაახლოების ინდიკატორები უკვე სახეზეა. ეს თურქეთის დასავლეთთან გაფუჭებული ურთიერთობა და ირანის მოკავშირე ბაშარ ალ-ასადის მიერ ჰოლანის სიმაღლეებზე უარის თქმის შესახებ წამოწყებული საუბარია.

ერდოღანისთვის არსებულ ვითარებაში უმთავრესი პრობლემა მისი უსაფრთხოებაა. ამისთვის თურქეთის პრეზიდენტი ეცდება პოტენციური მოწინააღმდეგეების ან ნეიტრალიზებას, ან მათთან საერთო ენის გამონახვას.

თურქეთის შიგნით მან ნეიტრალიზების ძალისმიერი მეთოდი აირჩია, რაც აჯანყებულთა განადგურებას ითვალისწინებს, თუმცა ისლამურ სახელმწიფოსთან ინჯირლიკის ბაზის ბლოკირებით გარკვეულ დათმობაზე წავიდა. შემდეგი ნაბიჯი დევნილებისა და მათთან ერთად თურქეთის ტერიტორიაზე არსებული მოჯაჰედების თავიდან მოცილებაა.

მოჯაჰედები, ისევე, როგორ დევნილები, არასტაბილურობის ელემენტია. თუ დევნილების შენახვა თურქეთის ბიუჯეტის პრობლემაა, ჯიჰადისტები თავად ერდოღანისთვის წარმოადგენს საფრთხეს. ამიტომ, არ არის გამორიცხული, უახლოეს დროში ევროპას დევნილთა კიდევ ერთი ნაკადი მიაწყდეს.

დევნილთა ნაწილი, ჯიჰადისტებთან ერთად, საქართველოს მიმართულებითაც შეიძლება დაიძრას. მათ აქ საკმაოდ ნოყიერი ნიადაგი დახვდებათ მოქმედებისთვის. რუსეთის სამხრეთით ამ ქვეყნისთვის დესტაბილიზაციის კერის შექმნა მავანის ინტერესებშია.

რამდენად მომზადებულია წინასაარჩევნო ციებ-ცხელებაში ჩაბმული საქართველოს ხელისუფლება სამხრეთ-აღმოსავლეთიდან მომავალი საფრთხეებისათვის და რა დახმარებას ელის საქართველო რეგიონში სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვის შემთხვევაში დასავლელი პარტნიორებისგან, ჯერჯერობით უცნობია. ასეთ დროს ყველაზე მეტად ინფორმაცია ფასობს, რომელიც პარტნიორებმა უნდა მოგვაწოდონ.

თავად დასავლეთში არაა ჩამოყალიბებული პოზიცია თურქეთში მიმდინარე მოვლენებისადმი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნატოს წევრი ქვეყანა, რომელიც ნატოსავე საჰაერო ბაზის ბლოკირებას გააკეთებს და ბლოკის ჰეგემონი ქვეყნის სამხედრო მაღალჩინოსანს გადატრიალების მხარდაჭერაში დაადანაშაულებს, მინიმუმ პარტნიორად აღარ შეიძლება ჩაითვალოს.

რა ძალით შეძლებს ნატო თურქეთის ჩანაცვლებას ან რის ფასად ეცდება დასავლეთი თურქეთთან ურთიერთობის მოგვარებას?

ბევრი რამ პუტინისა და ერდოღანის შეხვედრის შემდეგ გაირკვევა, მაგრამ ერთი რამ დღესაც ცხადია – თურქეთის სტაბილურობა კარგა ხანი აღარ ეღირსება.

ჯეჯელავა: „შაჰინის სკოლაში დარღვევები არ ჩანს“

– ვცდილობთ დავადგინოთ, შაჰინის სკოლაში მართლაც ჰქონდა თუ არა ადგილი რაიმეს, რაც ბავშვებისთვის შეიძლება საზიანო ყოფილიყო.

ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ ჟურნალისტებს გუშინ, 31 ივლისს, განუცხადა.

– ჩვენ გვაქვს ნებისმიერი ავტორიზებული სკოლის რეგულარული მონიტორინგი, რომელიც ჩვენი კანონმდებლობით არის შექმნილი. ნებისმიერი სიგნალი, იქნება ეს მშობლის მხრიდან თუ მით უმეტეს დიპლომატის მხრიდან გაჟღერებული რაღაც საფრთხე, რა თქმა უნდა, ჩვენი ყურადღების საგანი იქნება, – განაცხადა მინისტრმა.

მისი თქმით, განათლების სამინისტრომ პირველივე დღეებიდან დაიწყო შაჰინის სკოლასთან თანამშრომლობა.

– მანამდეც ძალიან კარგად ვთანამშრომლობდით და ვცდილობთ დავადგინოთ, მართლაც ჰქონდა თუ არა ადგილი რაიმეს, რაც ბავშვებისთვის შეიძლება საზიანო ყოფილიყო, – აღნიშნა ბატონმა ჯეჯელავამ.

მან ხაზი გაუსვა, რომ მთავარია ბავშვებისა და ოჯახების ინტერესები. ისინი არ უნდა დაზარალდნენ.

– თუკი რაიმე დარღვევები აღმოჩნდა, აუცილებლად იქნება შესაბამისი რეაგირება, თუმცა ჯერჯერობით ასეთი ვითარება არ არის. ამასთან, ჩვენ ვცდილობთ, გადავხედოთ თავად მექანიზმებს – მოგეხსენებათ, ახალი საფრთხეები ჩნდება და სამომავლოდაც ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ შეიძლება მივაქციოთ ყურადღება, რომ ასეთი აზრისა და ეჭვის საბაბიც კი არ ჰქონდეს არცერთ დიპლომატსა და არცერთ მოქალაქეს, – განაცხადა განათლების მინისტრმა.

ჯეჯელავას თქმით, მას საქართველოში თურქეთის ელჩთან აქვს კომუნიკაცია.

– ჩვენ შორის თანამშრომლობის 10-მდე საკითხია – მათ შორის არის ეს სკოლებიც, – აღნიშნა განათლების მინისტრმა.

სუსის კონტრტერორისტულმა ცენტრმა ვახტანგ ხანგოშვილი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ტერორისტული აქტის ჩადენის მუქარის ფაქტზე ახმეტის რაიონის სოფელ დუისში მცხოვრები, 1993 წელს დაბადებული ვახტანგ ხანგოშვილი დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 2016 წლის 29 ივლისს სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ მომხმარებლის სახელით Dau Levski გაავრცელა მუქარის შემცველი ინფორმაცია.

აღნიშნულ ფაქტზე სუსის კონტრტერორისტულ ცენტრში დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება საქართველოს სსკ-ის 323-ე მუხლის I პრიმა ნაწილით და იმავე დღეს დადგინდა ინტერნეტსივრცეში გავრცელებული ტერორისტული აქტის ქმედების ჩადენის მუქარის ავტორი – ვახტანგ ხანგოშვილი.

იმავე დღეს განხორციელდა ვახტანგ ხანგოშვილის პირადი ავტომანქანისა და საცხოვრებელი მისამართის ჩხრეკა.

დაკითხვის პროცესში დაკავებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული, რის შემდეგაც იგი ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება ტერორისტული აქტის ჩადენის მუქარის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 323-ე მუხლის I პრიმა ნაწილით, რაც თავისუფლების აღკვეთას 6-დან 12 წლამდე ითვალისწინებს).

პაპუაშვილს საკონსტიტუციო სასამართლოში დაკითხავენ

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის დაკითხვა განხორციელდება ამ კვირაში, მისივე თხოვნით, საკონსტიტუციო სასამართლოში.

ამის შესახებ საქართველოს მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ „იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

როგორც მთავარმა პროკურორმა აღნიშნა, ამ კვირაში პროკურატურა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებთან დაკავშირებით გამოძიების შუალედურ შედეგებზე ისაუბრებს.

– კონკრეტულად ამ ეტაპზე დაკითხულია სასამართლოს ყველა მოსამართლე წევრი. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის დაკითხვა განხორციელდება შემდეგ კვირაში მისივე თხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოში. ვფიქრობ, შემდეგ კვირაში ჩვენ უკვე შევძლებთ, კონკრეტულ შუალედურ შედეგებზე ვისაუბროთ, რომელიც, რა თქმა უნდა, არ დააზიანებს გამოძიების ინტერესებს, – განაცხადა ქვეყნის მთავარმა პროკურორმა.

„სააკაშვილის ფიტულებს ყველა რეგიონში დავწვავთ“

ზვიად ჩიტიშვილი: „ხელისუფლებას თუ ექსპრეზიდენტის ექსტრადიციის ფული არ აქვს, ჩვენ დავაფინანსებთ“

რატომ წვავენ სააკაშვილის ფიტულებს, რა ტესტის ჩაბარება მოუწევს ხელისუფლებას, რა აქციები იგეგმება ამერიკისა და უკრაინის საელჩოებთან, რა საშიშროების წინაშეა აჭარა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პარტია „ჩვენი სამშობლოს“ ლიდერი ზვიად ჩიტიშვილი ესაუბრება.

ზვიად ჩიტიშვილი:

– ჩვენ ცოტა ხნის წინ ნაციონალური მოძრაობის აკრძალვის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება დავიწყეთ, 29 ივლისს კი ნაციონალების სათავო ოფისთან კანიბალი სააკაშვილის ფიტული დავწვით. აქციას, რომელიც „ჩვენი სამშობლოს“ ორგანიზებით ჩატარდა, უამრავი ადამიანი შემოუერთდა. ცოტა მეტი სივრცე რომ ყოფილიყო, კიდევ უფრო ბევრნი ვიქნებოდით. იქაურობა სულ გაივსო.

იქ მოვიდა ისეთი ხალხი, ვისაც პოლიტიკასთან არანაირი შეხება არ ჰქონდა. მათ ასე გამოხატეს პროტესტი კანიბალების რეჟიმის მიმართ, რომლის გასამართლებაც „ქართულმა ოცნებამ“ არ მოისურვა. იმის მაგივრად, რომ მათ მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიძიონ, დაცვა გაუძლიერეს. უამრავი პოლიციელი მოვიდა აქციაზე ნაციონალების მყუდროების დასაცავად.

– პოლიცია რატომ მოვიდა, დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი?

– დაპირისპირება რომ არ მომხდარიყო და ნაციონალებს არ შეშინებოდათ, ამიტომ გამოაგზავნეს პოლიცია. ოფისში მყოფი ნაციონალები აქციას ფანჯრიდან ადევნებდნენ თვალს, გარეთ არავინ გამოსულა. მართალია, პოლიცია იცავდათ, მაგრამ მაინც შეეშინდათ ხალხის. ამ ხელისუფლების იმედი რომ არ ჰქონდეთ, ქუჩაშიც ვერ გამოვიდოდნენ.

ამ მხარდაჭერით კი ისე არიან გათამამებული, აქეთ იმუქრებიან. მუქარის შეტყობინება მეც მომივიდა. ნაციონალებში არის პატიოსანი ხალხიც და მათ გამომიტანეს შიგნიდან ინფორმაცია, რომ ფიტულის დაწვით ძალიან გამწარებულან. მათ ლიდერებს დაუქადნიათ, ამას ჩიტიშვილს არ შევარჩენთ და სამაგიეროს გადავუხდითო.

პატარა ბიჭი რომ ვიყავი, აფხაზეთის ომში წასვლის არ შემეშინდა და ამათი მუქარა შემაშინებს? არაფრის არ მეშინია და სააკაშვილის ფიტულების დაწვას გავაგრძელებთ. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთივე ხალხმრავალი იქნება აქციები საქართველოს სხვა რეგიონებშიც.

– იქაც აპირებთ ამ ტიპის აქციების მოწყობას?

– გადაწყვეტილი გვაქვს, კალიგულა სააკაშვილის ფიტულები მთელი ქვეყნის მასშტაბით დავწვათ. მისი ფიტულთან ერთად ნაციონალების სიმბოლოს ცოცხებსაც ვწვავთ.

– გაქვთ იმდენი ფიტული, რომ ყველა რეგიონში დაწვათ?

– მისი ფიტულების გაკეთება პრობლემა არ იქნება. ხალხს ისე სძულს ნაციონალები, რომ საკუთარი ინიციატივით ამზადებენ ფიტულებს.

– ამ ფიტულის დაწვის მთავარი მიზანი რა იყო და რისი თქმა გინდოდათ ამით ხალხისთვის?

– ხალხმა ნაციონალებს განაჩენი უკვე გამოუტანა. ამ ფიტულის დაწვით კი მოქმედ და ყოფილ ხელისუფლებებს შევახსენეთ, თუ როგორ სძულს ხალხს ნაციონალური მოძრაობა.

ფიტულის დაწვა უამრავმა უცხოურმა მედიასაშუალებამ გააშუქა. უცხოეთშიც დაინახეს, რომ აქ სააკაშვილი აღარავის უნდა. ამ ღონისძიებით ჩვენ უკრაინელებსაც მივმართეთ. მათ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი გმირი ჰგონიათ. სინამდვილეში ის კანიბალი და დამნაშავეა. უკრაინელებმა უნდა იცოდნენ, რომ სააკაშვილი მათ უარეს დღეში ჩააგდებს, ვიდრე ქართველები ჩააგდო.

დღეს უკრაინა სერიოზულ კონფლიქტშია ჩათრეული. სააკაშვილმა კი ეს კონფლიქტი შესაძლოა კიდევ უფრო გააღვივოს. არაა გამორიცხული, იქაც წამოიწყოს 2008 წლის აგვისტოს ომის მსგავსი ავანტიურა.

ახლო მომავალში ჩვენ უკრაინის საელჩოსთანაც ვაპირებთ მისვლას და აქციის გამართვას. გვინდა, რომ ამ ქვეყნის დიპლომატებს მიმართვა გადავცეთ.

– უკრაინის საელჩოსგან რას ითხოვთ?

– უკრაინა არის საქართველოს მეგობარი ქვეყანა და უხერხულია, რომ ისინი ჩვენს მთავარ მტერს იფარავენ. უკრაინა თუ ნამდვილად საქართველოს მეგობარი ქვეყანაა, მაშინ ეს დამნაშავე უნდა გადმოგვცეს.

– საქართველოს ხელისუფლებამ თუ არ მოითხოვა მისი ექსტრადირება, თავად ხომ არ გამოაგდებენ?

– უკრაინიდან მისი გამოძევება თავად უკრაინის ინტერესებში უნდა იყოს. მათ ძალიან კარგად იციან, რომ საქართველოში მის წინააღმდეგ საქმეა აღძრული და ბრალიც აქვს წაყენებული. სააკაშვილი არც უკრაინელებს მოსწონს, მაგრამ ამერიკელების ნებას ვერ ეწინააღმდეგებიან. ჩვენი ხელისუფლების მსგავსად, ამერიკა უკრაინის მთავრობასაც აკონტროლებს.

ჩვენმა პროკურატურამ და პოლიტიკოსებმა რამდენჯერმე გვითხრეს, რომ სააკაშვილს რამდენიმე საქმეში წარუდგინეს ბრალი. რადგან დამნაშავედ არის აღიარებული, მაშინ მისი ექსტრადიციაც მოითხოვონ. პრემიებზე, მანქანებსა და პირად კეთილდღეობაზე იმდენი ფული დახარჯეს, შესაძლოა, ექსტრადირებისთვის აღარ აქვთ თანხები ბიუჯეტში. თუ ასეა, გვითხრან და ჩვენი პარტია გაიღებს მისი ექსტრადირების ხარჯებს.

ახლო მომავალში კიდევ ერთი აქციის გამართვას ვაპირებთ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან. არაა გამორიცხული, საელჩოს წინაც დავწვათ ყოფილი პრეზიდენტის ფიტული. ამერიკელებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაიგონ, რომ სააკაშვილი ხალხს ეზიზღება და მის დაბრუნებას არ დაუშვებს. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები თუ არიან, კეთილი ინებონ და პატივი სცენ ჩვენი მოსახლეობის გადაწყვეტილებას.

მოსახლეობის გადაწყვეტილებას პატივს, სამწუხაროდ, არც ხალხის მიერ არჩეული „ქართული ოცნება“ სცემს. მათი მთავარი დაპირება სამართლიანობის აღდგენა იყო. იმის მაგივრად, რომ დამნაშავეები დაესაჯათ, გვერდზე დაიყენეს და ყველანაირად ცდილობენ მათ „გაპრავებას“. ვერცერთმა ადამიანმა ვერ დაიბრუნა წართმეული ქონება და ბიზნესი. მეტსაც გეტყვით, ვინც ხალხს აწამებდა და სცემდა, ახლა ხელისუფლებასთან არის დაახლოებული. ნაციონალების კარის რამდენიმე ბიზნესმენი ახლა „ქართული ოცნების“ კარის ბიზნესმენია და მათ აფინანსებს. ზოგიერთი მათგანი მაჟორიტარადაც კი იყრის კენჭს. რამდენიმე მათგანი ღიად აკეთებს ამას. ზოგიერთი ისე იქცევა, თითქოს დამოუკიდებელი კანდიდატია, სინამდვილეში „ოცნებასთან“ არის.

– ცეზარ ჩოჩელზე საუბრობთ?

– ამბობენ, რომ ის მცხეთაში „ოცნების“ ფარული კანდიდატი იქნება. ცოტა ხნის წინ ის ნაციონალების დამფინანსებელი და ამ რეჟიმის წარმომადგენელი იყო.

– ჩოჩელი, თუ არ ვცდები, თქვენი ნათესავია.

– არანაირი ნათესაობა. მისი მეუღლეა ჩიტიშვილი, ჩვენი მოგვარე. სხვათა შორის, შევარდნაძის დროს ჩოჩელებს ახალგორში არჩევნები მოუგო ჩემმა ძმამ. ნეტა მერე ეყარა კენჭი და ახალგორი მაგათთვის არ დაგვეტოვებინა. 2008 წელს ასე იოლად არ დავთმობდით.

ჩოჩელს თავს დავანებებ და ჩვენი პარტიის მიერ დაწყებულ კამპანიაზე ვისაუბრებ. პარტია „ჩვენი სამშობლო“, როგორც უკვე იცით, აგროვებს ხელმოწერებს. ამ ხელმოწერებს მალე წარვუდგენთ ხელისუფლებას და დაველოდებით მათ რეაქციას. ეს ხელმოწერები „ქართული ოცნებისთვის“ იქნება ტესტი.

– რამდენი ხელმოწერა გაქვთ უკვე შეგროვებული?

– ძალიან ბევრი, საქართველოში ასეულობით ათასი ადამიანი ითხოვს ნაციონალური მოძრაობის აკრძალვას. ჩვენ 300.000-მდე ხელმოწერის შეგროვებას ვაპირებთ. თუ ამის შემდეგაც არაფერს მოიმოქმედებს ხელისუფლება, მაშინ უკვე თავისუფლად შეგვიძლია იმის თქმა, რომ ეს 2 პარტია ერთად არის.

მკითხველს მინდა ვუთხრა, რომ ხელმოწერების შეგროვება მალე მეტროსადგურებთანაც იქნება შესაძლებელი, მანამდე კი ჩვენი პარტიის ოფისებში შეუძლიათ მოსვლა. დრო აღარ ითმენს, სასწრაფოდ რაღაც უნდა ვიღონოთ, თორემ ძალაუფლებას ისევ ნაციონალები და „ოცნება“ გაინაწილებენ. ყველა გამოკვლევა ამაზე მიუთითებს. წინასწარ ამზადებენ ხალხის აზრს, რომ თურმე პარლამენტში მხოლოდ ეს 2 ძალა და კიდევ რამდენიმე მათი სატელიტი შევა. ეს არის ამერიკის გეგმა – მათ პარლამენტში ეროვნული ძალების შესვლა არ აწყობთ.

საქართველოში არის ძალიან ბევრი პარტია და პოლიტიკოსი, რომლებიც ითხოვენ ნაციონალების აკრძალვას. მოვუწოდებთ ამ პარტიებს, შემოგვიერთდნენ და ერთად ავკრძალოთ ეს დამნაშავეები. ერთად როცა ვიქნებით, წარმატების უფრო დიდი შანსი გვექნება.

– წარმატების მისაღწევად საარჩევნოდ თუ აპირებთ რომელიმე პარტიასთან გაერთიანებას?

– რაღაც საუბრები მიდის. ჩვენ მზად ვართ, ყველა იმ პარტიასთან ვითანამშრომლოთ, რომლებისთვისაც მთავარია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ნამდვილი დამოუკიდებლობა. საქართველო არავის გუბერნია არ უნდა იყოს, არც რუსეთის, არც თურქეთის და არც ამერიკის. ჩვენ ჩვენი მხრიდან მონათესავე პარტიებს უკვე შევთავაზეთ თანამშრომლობა. პირადად მე მზად ვარ, არც კი მივიღო არჩევნებში მონაწილეობა და ჩემი ადგილი სხვას დავუთმო. მზად ვართ, დავეხმაროთ მაჟორიტარულ ოლქებშიც.

რეგიონებში სააკაშვილის ფიტულის დაწვის გარდა, სხვა აქციებსაც ვაწყობთ. რამდენიმე დღის წინ აჭარის რეგიონში ვიყავით და ბათუმში სერიოზული აქცია გავმართეთ. აქცია რეგიონის თურქეთიზაციის წინააღმდეგ იყო მიმართული. ყოფილმა ხელისუფლებამ ათეულობით ათას ეთნიკურ თურქს მისცა საქართველოს მოქალაქეობა. მათი უმეტესი ნაწილი ამ რეგიონში ცხოვრობს.

წინა ინტერვიუებში გითხარით, რომ დაგეგმილი იყო ბათუმის მერად ეთნიკური თურქის არჩევა. თურქი ხალხის მიმართ არანაირი პრეტენზია არა მაქვს, ყველა ერს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ, დღეს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ცოტა მეტი სიფრთხილე გვმართებს.

– თურქეთში მიმდინარე პროცესებს გულისხმობთ?

– იქ ძალიან სახიფათო პროცესები მიდის. არავინ იცის, როგორ განვითარდება ხვალ მოვლენები. იქ არიან რადიკალური ჯგუფები, რომლებიც აჭარას დღემდე თურქეთის ნაწილად მიიჩნევენ. ხვალ ისინი რომ მოვიდნენ ხელისუფლებაში, შესაძლოა პრობლემები შეიქმნას. არც ის დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ტერიტორიები თურქეთსაც აქვს მიტაცებული. ამიტომაც ვეწინააღმდეგებით აჭარის თურქეთიზაციას.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს ყველა ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობა უნდა ჰქონდეს და მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან იმოქმედოს. გითხარით და გავიმეორებ, რომ საქართველო არავის გუბერნია არ უნდა იყოს.

ასევე გაუმართლებლად მიმაჩნია საქართველოში სხვა ქვეყნებიდან ხილისა და ბოსტნეულის შემოტანა. არაფრის აკრძალვას არ ვითხოვ, მაგრამ ამ პროდუქციაზე მაღალი საბაჟო გადასახადი უნდა დაწესდეს, რომ მათ ქართულმა პროდუქციამ კონკურენცია გაუწიოს. იმ პროდუქციაზე, რომელიც საქართველოში არ მოდის, მაგალითად, ანანასი და ბანანი, შეღავათები იყოს.

ჩვენი სოფლის მეურნეობა თუ არ დავაყენეთ ფეხზე, ქვეყანა ვერ განვითარდება. აუცილებლად უნდა დავიკავოთ ადგილი რუსეთის ბაზარზე. კარგია ევროპის ბაზრის ათვისებაც, მაგრამ ჩვენს ხილზე მოთხოვნა ძირითადად რუსეთშია.

ეკონომიკაზე ვსაუბრობ და ზოგიერთი პოლიტიკოსივით არ მოვატყუებ ხალხს, რომ პენსიებს გავზრდი. ამის საშუალება ჩვენს ბიუჯეტს არა აქვს. სამაგიეროდ, ვიცი, როგორ უნდა მოხდეს ეკონომიკის სწრაფი განვითარება. აქ შეგვიძლია, ნახევარფაბრიკატები შემოვიტანოთ და ისინი ავაწყოთ, მაგალითად, სკამები ან სხვა სახის ავეჯი. ბევრი რამის მოფიქრება შეიძლება. სამწუხაროდ, ხელისუფლებას არაფრის გაკეთება არ სურს. ამასობაში ქვეყანა გაკოტრების პირასაა და ხალხი ვალებში იხრჩობა. არასათანადო კვების გამო საქართველოში უამრავი ბავშვი დაიღუპა. ეს უკვე საგანგაშო სიგნალია.

აფხაზეთში კონტრაბანდულ ქართულ ხილ-ბოსტნეულს ებრძვიან

აფხაზეთის კურორტებზე ინდური ტრადიციული მედიცინის პოლიკლინიკებს ხსნიან?

მარიამ მჭედლიშვილი

ანექსირებული აფხაზეთის მიმართ მსოფლიო თანამეგობრობა არაღიარების პოლიტიკას მიმართავს. მიუხედავად ამისა, ესა თუ ის სახელმწიფო დროდადრო აბანდებს ფულს აფხაზეთის ეკონომიკაში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლეგიტიმურ სტრუქტურებში აცხადებენ, რომ აფხაზეთში არსებობს გერმანიისა და საფრანგეთის ინვესტიციები. გარდა ამისა, საქართველოს ამ ოკუპირებულ ნაწილში დაუფარავად საქმიანობდნენ თურქი ბიზნესმენები. მათი მოქმედებები მას შემდეგ შეიზღუდა, რაც რუსეთსა და თურქეთს შორის დაიძაბა ურთიერთობები. ამჟამად რუსეთი და თურქეთი ისევ დაახლოვდნენ. ამის გამო მოსალოდნელია, რომ აფხაზეთში ისევ გააქტიურდეს თურქული ბიზნესი.

აფხაზეთში მოსალოდნელია ინვესტორების გამოჩენა ინდოეთიდანაც. ამის შესახებ ბიზნესფორუმზე განაცხადა ინდოელმა ბიზნესმენმა ჩაკრაპანი არავატუმანმა, რომელიც 30 წელიწადია, რუსეთში მუშაობს. ბიზნესფორუმი საერთაშორისო ფონდ აპსნის ორგანიზებით მოეწყო.

ინდოელმა სტუმარმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციების ჩადება აფხაზეთის ისეთ დარგებში, როგორებიცაა დაზღვევა და სოფლის მეურნეობა. თუ საქმე შეეხება მიწის იჯარას, აუცილებელია იჯარის პირობების მკაფიოდ განსაზღვრა.

ჩაკრაპანი არავატუმანის თქმით, პერსპექტიულია ინვესტიციების დაბანდება აფხაზეთის ენერგეტიკაში.

– აფხაზეთში ბევრი მდინარეა, შესაძლებელია მცირე ელექტროსადგურების აშენება, – განაცხადა მან.

დამსვენებლებისა და ტურისტების რაოდენობის ზრდა, ინდოელი ბიზნესმენების თქმით, ნიშნავს, რომ იზრდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოცულობა. ამიტომ საჭიროა მათი გადამუშავება და ამ მიმართულებით ფულის ჩადება.

არავატუმანი ფიქრობს, რომ აფხაზეთს გაუიოლდება მუდმივ საკურორტო ზონად გადაქცევა, თუ იქ ფეხს მოიკიდებს ინდური ტრადიციული მედიცინა აიურვედა. მისი სიტყვებით, სავსებით შესაძლებელია აფხაზეთში აიურვედას პოლიკლინიკების გახსნა. ამ ამბულატორიებს არ მოაკლდებათ პაციენტები მსოფლიოდან, მათ შორის რუსეთიდან, ვინაიდან რუსეთში აიურვედა ძალიან პოპულარულია.

გარდა ამისა, აფხაზეთში პერსპექტიულია ფარმაკოლოგიური მინიფაბრიკების გახსნა, ვინაიდან ფარმაკოლოგია ინდოეთის ერთ-ერთი განვითარებული დარგი.

უცხოელი ინვესტორებისთვის მაქსიმალური ხელშეწყობის აუცილებლობაზე საუბრობს ეკონომისტი დაურ ბარგანჯია. მისი თქმით, მოსახლეობას უნდა განემარტოს, რომ უცხოელი ინვესტორი მეწველი ძროხა არ არის.

დაურ ბარგანჯია აღნიშნავს, რომ აფხაზეთი ამჯერად რუსეთიდან მიღებული სახსრების ხარჯზე არსებობს. რესპუბლიკა მუდმივად ამ დახმარებას არ უნდა დაეყრდნოს.

– უნდა ვისწავლოთ ცხოვრება საკუთარი სახსრებით, – აღნიშნავს ეკონომისტი.

მისი თქმით, ტურიზმის სრულფასოვნად განვითარებისთვის აუცილებელია უცხოური ინვესტიციები და სერვისი.

დაურ ბარგანჯია დიდ დანაკლისს ხედავს იმაში, რომ ენგურსგამოღმიდან აფხაზეთში შედის კონტრაბანდული ქართული ხილი და ბოსტნეული. მისი სიტყვებით, ამით აფხაზეთის ბიუჯეტი ზარალდება. ეკონომისტი გამოდის ინიციატივით, რომ აფხაზეთში შესული ტვირთები აღირიცხოს, სურსათს კი საბაჟო გადასახადი დაეკისროს.

შალვა ოგბაიძე: „საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროს პატრონი არ ჰყავს“

დემოკრატიული მოძრაობის წევრის, საკრებულოს დეპუტატ შალვა ოგბაიძის განცხადებით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროს ხელისუფლებაში პატრონი და მენეჯერული ხელი არ ჰყავს.

მისივე თქმით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შეფასების კრიტერიუმი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების გაზრდილი რაოდენობაა.

ამის შესახებ შალვა ოგბაიძემ „კვირას“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– ადამიანის უწყვეტი განათლება, ავტოპარკის მდგომარეობა, ინფრასტრუქტურა, კანონმდებლობა და კონტროლის მექანიზმი – ყველაფერი ერთად ქმნის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროს და მასთან შეხების მქონე სტრუქტურული ორგანოები გაბნეულია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა შტოებში და გამეფებულია პრინციპი „მე არ მეხება“.

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროს ერთ-ერთი მთავარი შეფასების კრიტერიუმი არის საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისა და დასახიჩრებულ-დაღუპულთა გაზრდილი რაოდენობა, – განაცხადა შალვა ოგბაიძემ.

მისივე თქმით, კანონმდებლობის, პატრულის, ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით ცვლილებები მართლა ხორციელდება და ყველა უწყებას თავის სამოქმედო არეალში გარკვეული წარმატებები გააჩნია, მაგრამ ერთი მმართველის არყოლის გამო პრობლემები არ იხსნება.

– ეს თემა აუცილებლად მერის დონეზე უნდა იყოს აწეული და ცენტრალური ხელისუფლების დონეზე – აუცილებლად პრემიერის დონეზე. პრემიერ-მინისტრის დონეზე ამ თემამ გარკვეულად უკვე აიწია კიდეც, რადგან მასთან არაერთხელ ყოფილა საუბარი.

რამდენიმე კვირაა, საქართველოს საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ერთიანი სტრატეგია უკვე ქაღალდზე დაწერილი გააჩნია, მაგრამ მთავარია, რა მიმართულებით წავა მისი განხორციელება. სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში, ეს არის თითოეული მტკივნეული საკითხის ძალიან დიდი რისკების მომხსნელი, – განაცხადა შალვა ოგბაიძემ.

ნიუსპრესი

რატომ ყრიან მატყლს თუში მეცხვარეები

დამწვარ და დიდი რაოდენობით გადაყრილ მატყლს თუშეთში ბევრგან ნახავთ, მათ შორის საავტომობილო გზის პირას.

თუშური ჯიშის ცხვრის მატყლს, რომელიც სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა და წლების წინ საქართველოში ყველაზე ძვირადღირებული იყო, მეცხვარეები ყოველწლიურად ტონობით ყრიან, რადგან რეალიზაციას ვერ ახერხებენ.

1 კილოგრამი მატყლის გასაყიდი ფასი 50 თეთრია.

52 წლის ფრიდონ გაფრინდაული მეცხვარეობას ბავშვობიდან მისდევს. მისი თქმით, ვიდრე თუშეთი მოსახლეობისგან დაიცლებოდა, მატყლის მიმღები და დასამუშავებელი პუნქტები თუშეთშივე იყო და მეცხვარე, ცხვრისა და ყველის გარდა, შემოსავალს მატყლის რეალიზაციიდანაც იღებდა.

– მატყლს აქვე ვაბარებდით და კარგი ფასიც ჰქონდა. დღევანდელი ანგარიშით, 12-დან 15 ლარამდე ღირდა. ეს იყო 80-იან წლებში. მოთხოვნა და ფასი მას შემდეგ დაეცა, რაც რუსეთში აღარ გადის. თუშური მატყლი უხეშია და ძირითადად იქ გადიოდა, ჯარისკაცებისთვის იყენებდნენ. ევროპას უხეში მატყლი არ უნდა, ამიტომ მოთხოვნა აღარ არის. ცხვარს იმიტომ ვპარსავთ, რომ აწუხებს, თორემ საერთოდ არ გავპარსავდით. მატყლის დიდ ნაწილს ვყრით, ხარჯის მეტი არაფერი მოაქვს, – უთხრა ფრიდონ გაფრინდაულმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

მან ბოლო წლებში ცხვრის რაოდენობა შეამცირა.

– 1.000 სული ცხვარი მყავს. შევამცირე, რადგან აღარ არის იმდენი შემოსავალი, აღარც მწყემსია, აღარც მატყლს აქვს ფასი. მე ცხვარი სოფელ ვაკისძირში მყავს. აქამდე სამანქანო გზა არ მოდის. მატყლი ცხენს უნდა ავკიდო, სამანქანო გზამდე ჩავიტანო, მერე სატვირთო მანქანა ვიქირაო, 1.000-1.200 ლარს იღებს, გააჩნია, როგორ მორიგდები. ბარში ჩატანილ მატყლში აზერბაიჯანელები 50 თეთრს იხდიან. სუფთა მატყლი 70 თეთრადაც იყიდება. აბა, რა აზრი აქვს? ამიტომ მთაშივე იყრება და აქვე რჩება მატყლი, – ამბობს მეცხვარე.

გოგი ბექურაიძე ყოველწლიურად დაახლოებით 4-5 ტონა მატყლს ყრის. მისი თქმით, უკვე რამდენიმე წელია, მატყლი აღარ გაუყიდია, რადგან თუშეთიდან ბარში ტრანსპორტირება არ უღირს.

– მპარსავს კილოგრამის გაპარსვაში უნდა მივცე მინიმუმ 50 თეთრი. კილოგრამის ტრანსპორტირებაც 50 თეთრი მიჯდება. გაპარსვა და ტრანსპორტირება თუ ლარი გიჯდება, 50 თეთრად რომ გაყიდო, რა აზრი აქვს? 5-6 ლარი მაინც უნდა ღირდეს კილოგრამი მატყლი. კომუნისტების დროს 13-14 მანეთი ღირდა. ისინი რომ წავიდნენ, მაქსიმალური ფასი ერთი ლარი იყო, ახლა ლარსაც აღარ იხდიან. მაშინ რუსეთიდან იყო მოთხოვნა, იქ გადიოდა და ძირითადად სამხედრო ტანსაცმელს და შინელებს ამზადებდნენ. თუშურ მატყლს ბევრი სამკურნალო თვისება აქვს, 30 დაავადებას კურნავს. სხვა არცერთ მატყლს ასეთი თვისება არ გააჩნია, – ამბობს გოგი ბექურაიძე.

1..600 სული ცხვარი ჰყავს ჯიჯური ჯიჯურიძეს სოფელ შენაქოში. წლის განმავლობაში დაახლოებით 3-4 ტონა მატყლს იღებს. გასულ წლებში მისგან მატყლს აზერბაიჯანელები ყიდულობდნენ, თუმცა წელს თუშეთიდან მატყლის ბარში ჩატანას აღარ აპირებს.

– ბოლოს რომ გავყიდე, 2 ტონა მივეცი კილოგრამი 50 თეთრად. კაბალიდან, იორმუღანლოდან მოდიან, რეცხავენ და 3 დოლარად აბარებენ თურქეთში. წელს აღარ ვაპირებ გაყიდვას, აღარ ჩამოვიტან, დავყრი იქ სოფელში და ვისაც უნდა, აიღოს. პარსვისა და ტრანსპორტირების ხარჯებს ვერ ანაზღაურებს, – აღნიშნავს მეცხვარე.

◆ ◆ ◆

2014 წელს ჩეხეთის განვითარების სააგენტომ, რომლის დაფინანსებითაც თუშეთში სხვადასხვა პროგრამა ხორციელდება, მეცხვარეებისთვის ცხვრის საპარსი აპარატები შეიძინა.

ტექნიკა ქვემო ალვანში ინახება და საკრებულოს მიერ დაფუძნებული ააიპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის“ ბალანსზეა. მეცხვარეებს მისი ქირაობა შეუძლიათ, თუმცა, გოგი ბექურაიძის თქმით, ქირის გადასახადის გამო ელექტრონულ საპარსებს ბევრი მეცხვარე ვერ იყენებს.

– აგრეგატი რომ ვიქირაო, 1 სულ ცხვარზე 30 თეთრი უნდა გადავიხადო. კომპლექტში 12 მანქანაა და ძრავზე მუშაობს. დროზე რომ გავპარსო ცხვარი, მპარსავებს ვქირაობ, მასაც 50 თეთრი უნდა გადავუხადო ანუ 1 ცხვრის გაპარსვა 80 თეთრი მიჯდება, უფრო ძვირი, ვიდრე ხელით პარსვა. 30 თეთრი ბევრს არ აწყობს. ვისაც 300-400 სული ჰყავს, ხელით პარსავს, – ამბობს ბექურაიძე.

მეცხვარეები ითხოვენ, რომ ხელისუფლება მათ მატყლის გასაღების ბაზრის მოძიებაში დაეხმაროს.

– სახელმწიფოს შეუძლია, საბიუჯეტო მხარდაჭერით საწარმო გაკეთდეს და საქართველოს მასშტაბით რაც მატყლი გვაქვს, იქ ჩაბარდეს. სხვადასხვა პროდუქციის წარმოებაა შესაძლებელი. გვქონდა ამაზე საუბარი მთავრობასთან. გვითხრეს, რომ პლედების შესაძენად სხვადასხვა უწყება ტენდერს ატარებს, ვინც გაიმარჯვებს, იმან უნდა მოამარაგოს და თურქეთიდან შემოაქვთ, იაფი უჯდებათ. გადაყრილზე იაფი როგორღა უჯდებათ, ჩვენ ხომ ვყრით მატყლს. ამისთანა სასარგებლო მატყლს ასე აფუჭებენ. პატრონი არ გვყავს, ფულს არავინ დებს ამ საქმეში, – აღნიშნავს ფრიდონ გაფრინდაული.

მეცხვარეებს ცხვრის რეალიზაციის პრობლემაც აწუხებთ. გოგი ბექურაიძის თქმით, ბოლო წლებში თოხლის ფასი საგრძნობლად დაეცა.

– არაბები 100 დოლარს იხდიდნენ, მაგრამ 2-3 წელია, 50 დოლარად ვეღარ იყიდება. ყველა მეცხვარე ბანკზეა მიბმული, რადგან ხარჯი უფრო მეტია უკვე, ვიდრე შემოსავალი. ვალს ბოლოს დაფარვა ხომ უნდა და ცხვრის გაყიდვა მოგვიწევს, – ამბობს გოგი ბექურაიძე.

◆ ◆ ◆

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე მიხეილ სოხაძის განცხადებით, საქართველოდან ცხვრისა და მატყლის ექსპორტი მზარდია. სოხაძის თქმით, საწარმოების შექმნასა და ბაზრის მოძიებაზე თავად ფერმერებმა და ბიზნესმა უნდა იაქტიურონ.

– სახელმწიფოს ევალება, ისეთი სიტუაცია შექმნას ჯანმრთელობის კუთხით, რომ მატყლის ექსპორტი შეუფერხებლად განხორციელდეს. მატყლის თემა პრობლემატური იყო, რადგან მხოლოდ აზის ქვეყნებში – ინდოეთსა და პაკისტანში გადიოდა. წელს მატყლი უკრაინაშიც გავიდა. ასევე, წელს ევროპამ ჩვენი ორი საწარმო აღიარა, ახლა ჯერი ბიზნესზეა, – განაცხადა მიხეილ სოხაძემ.

მისი თქმით, აუცილებელია ადგილობრივი საწარმო, რომელიც მატყლს ოდნავ უფრო მაღალ ფასში ჩაიბარებს და მეცხვარეები ტრანსპორტირების თანხას აღარ გადაიხდიან.

– მეცხვარეების ინტერესშიც შედის, თუ მოახერხებენ კოოპერატივის შექმნას, სახელმწიფოს აქვს უამრავი პროგრამა. მთავარია მონდომება, – განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს მიხეილ სოხაძემ.

◆ ◆ ◆

საქართველოში არსებული ცხვრის 80-85% თუშურ ცხვარზე მოდის. თუშური ცხვარი უძველესი ქართული ჯიშია. ის ხალხური სელექციით მე-13-14 საუკუნეებშია ჩამოყალიბებული.

თუშური ცხვარი უხეშმატყლიანია და საუკეთესო გემოს ხორცით გამოირჩევა. მისი მატყლი ძვირფასი ნედლეულია ხალიჩებისა და სხვა სახეობის მოთელილი ნაწარმის დასამზადებლად. მოზრდილი ცხვრის წონა 70-75 კგ-ია, მატყლის ნაპარსი კი 3,5-4 კგ-ს შეადგენს.

მეცხვარეთა ასოციაციის ინფორმაციით, 2009 წელს ექსპორტზე 266.000 ცხვარი გავიდა. 2010 წელს – 178.000, 2011 წელს 155.000, 2012 წელს – 170.000, 2013 წელს კი – 160.000 სული ცხვარი.

მიმდინარე წელს ევროკავშირმა მატყლის მწარმოებელი 2 ქართული კომპანია – შპს „ჯორჯიან ვულ“ და შპს „ქართული მატყლის კომპანია“ აღიარა.

ევროკავშირის ქვეყნებში დაუმუშავებელი (გაურეცხავი) მატყლის გატანა საქართველოდან მხოლოდ ამ ორ კომპანიას შეუძლია.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

„სომხები აფხაზეთში კულტურულ ავტონომიას ითხოვენ“

გულიკო ბალაძე

„სამოქალაქო პლატფორმა – ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი **მამუკა გვაძაბია** „ახალ თაობას“ აფხაზეთში არსებულ ვითარებაზე ესაუბრება.

– ბატონო მამუკა, რა ვითარებაა დღეს აფხაზეთში?

– აფხაზეთში ბევრი მოკავშირე მყავდა და მყავს, განსაკუთრებით – გალის რაიონში. მათ ბევრ ქარცეცხლს გაუძლეს, ბევრი ჭირ-ვარამი ნახეს. დღესაც, ტოტალური ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში, ღირსეულად იცავენ ქართველი მოსახლეობის ინტერესებს. პოლიტიკური პარტიის ზოგიერთი წარმომადგენელი განცხადებებს აკეთებს, თითქოს რაღაც სენსაციურ ინფორმაციებს იღებს აფხაზეთიდან.

– არ არის სწორი? ბოლო დროს ბევრი რამ მოხდა.

– მე ამომწურავი ინფორმაცია მაქვს გალის, ოჩამჩირისა და იქით არსებული რაიონებიდან და აფხაზეთში სენსაციური არაფერი ხდება, როგორც ამას ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის ახალბედა წარმომადგენელი წარმოგვიდგენს.

– როგორ?

– ის, რასაც ისინი სენსაციურად თვლიან, ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში ჩვეულებრივი მოვლენაა. ტანკების შეყვანა, შეიარაღებული ძალებისა და სპეცსამსახურების გაძლიერება ჩვეულებრივი ამბავია. გამოდის ზოგიერთი პოლიტიკანი და აცხადებს, უყურეთ, რომელიღაც სკოლის ეზოში ტანკი შევიდა, რომელიღაც ქალაქში ტანკმა გაიარაო.

– ესეც საინტერესოა ვითარების აღწერისას.

– ასეთი ქმედებები ყოველდღიური მოვლენაა.

– რა არის ყოველდღიური მოვლენა?

– ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში ყოველდღე ხდება ტექნიკის გადაადგილება, შეიარაღებული ძალებისა და სპეცსამსახურების როტაცია. ზოგი მიდის, ზოგი – მოდის.

– ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყველგან ერთნაირი ვითარებაა?

– გაგრაში სხვა სიტუაციაა, სოხუმში – სხვა, ოჩამჩირესა და გალში – კიდევ სხვა. გალში ქართველი მოსახლეობაა. მათი დამოკიდებულება ოკუპანტებისა და საოკუპაციო ძალების მიმართ აბსოლუტურად სხვანაირია. ქართული ენის სწავლება აკრძალულია. ძალიან მომრავლდა ბავშვების გადმოყვანა ზუგდიდში, მაგრამ, ვინც ვერ გადმოდის, მათთან მასწავლებლები სახლში მიდიან და ასწავლიან ქართულს. ძალიან გახშირდა არაოფიციალური სწავლება. ასე რომ, აფხაზეთში ქართული ენის აშკარა დისკრიმინაცია ხდება, რაც საოკუპაციო ძალების ანუ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების, სპეცსამსახურებისა და სეპარატისტების უშუალო ზემოქმედების შედეგია. სეპარატისტები უშუალო შემსრულებლები არიან.

– გაგრაში ქართველები როგორ ცხოვრობენ?

– გაგრის ზონაში ძლიერია სომხური დიასპორა. ქართველი ძალიან ცოტა ცხოვრობს. არანაირი ქართული სკოლა იქ არ არის.

– რუსულ სკოლაში სწავლობენ?

– რა თქმა უნდა. გაგრაში ძირითადად სომხური დიასპორაა, რომელსაც რუსული სპეცსამსახურები მართავენ. სომხური დიასპორის ხელმძღვანელი გერეუს აგენტურაა. გაგრაში შენდება სომხური ეკლესია.

– რა პრობლემები აქვთ არა მხოლოდ ქართველებს, არამედ აფხაზებსაც?

– ოკუპანტები აფხაზეთში ძალიან დიდ ფულს ხარჯავენ. აფხაზეთის ბიუჯეტი აბსოლუტურ დოტაციაზეა. ისინი მოსკოვიდან გადმორიცხული ფულით არსებობენ. თუ სადმე რაღაცას გამოღვიძება ეტყობა, მცირე ბიზნესია.

– ე.ი. გამოღვიძება შეინიშნება.

– მცირე ბიზნესში გამოღვიძება უშუალოდ საკურორტო ინფრასტრუქტურასთანაა მიბმული. დასაქმებაც ამ კუთხით შეინიშნება, თუმცა წელს დამსვენებლების ნაკლებობაა.

– იმ არეულობების გამო, რაც იყო?

– დიახ. არეულობებს ვერსად გავექცევით. ამის დასტურია ბოლო 7-8 წელი. არ მინდა, წინასწარმეტყველის როლში გამოვიდე, მაგრამ ანქვაბის გადადგომაზეც გვქონდა ლაპარაკი და იცით, კრემლმა ყური როგორ აუწია. კრემლის ყველაზე დიდი ნდობით სარგებლობს ხაჯიმბა.

– და მის გადადგომას არ დაუშვებს?

– კრემლი არავის მოძლიერებას არ დაუშვებს.

– ხაჯიმბა მოძლიერდა?

– ისეთ საჩოთირო რეგიონში, როგორიც აფხაზეთია, არავის მოძლიერებას არ დაუშვებს. მოსკოვი თავისი მხრიდან მართვად სტაბილურობასაც არ დაუშვებს. რუსეთს აწყობს მუდმივი დესტაბილიზაციის კერები. ამიტომ რუსი იმ ხაჯიმბას რეჟიმსაც არ გააძლიერებს ბოლომდე. ეჭვი არ ასვენებს, ვაითუ „ურჩ კავკასიელს“ თავმოყვარეობა გაეღვიძა, როგორც თავის დროზე ორი სიტყვა თქვა ბაღაფშმა. აფხაზ მოჰაჯირებთან ნათქვამ პატრიოტულ სიტყვას შეეწირა ბაღაფში. ის მოსკოვის ერთ-ერთ კლინიკაში გაგუდეს. ეს მისმა ნათესავებმაც იციან.

– სამაგიეროდ, ანქვაბი არ მოუკლავთ.



მამუკა გვაძაბია

– ანქვაბი სადღაც არის, მაგრამ ისევ რუსებისთვისაა. ანქვაბი იქნება თუ ხაჯიმბა, რუსებზე მუშაობენ. ხაჯიმბას გამოსტაცეს მიწის შესახებ კანონი, რომელიც ე.წ. პარლამენტმა მიიღო. გეგმაზომიერად მოქმედებენ. აფხაზებს სომხური დიასპორითაც აშინებენ. სომხების მოძლიერებამ აფხაზები ძალიან დააფრთხო. საშიშროებას გრძნობენ.

– რის ეშინიათ?

– სიტუაციით რომ არ ისარგებლონ. სიტუაციით ისარგებლეს რუსეთ-საქართველოს ომის დროსაც, ახლაც სარგებლობენ და მომავალშიც ისარგებლებენ, თუ ამის საშუალება მიეცემათ.

– ხაჯიმბას ხელისუფლება სომხების მოძლიერებას როგორ უყურებს?

– კრიტიკულად. ხაჯიმბას გარემოცვაში არიან ისეთი თანამდებობის პირები, რომლებიც სომხების მოძლიერებას ეჭვით უყურებენ.

– ხაჯიმბას გარემოცვაში სომხები არიან?

– სომხები არიან ე.წ. პარლამენტშიც, მაგრამ აფხაზები მათ მოძლიერებას ეჭვის თვალით უყურებენ. ბოლო 20-25 წლის განმავლობაში სომხურმა დიასპორამ რიცხობრივად მოიმატა და მატერიალურადაც გაძლიერდა. ამის გამო აფხაზები საშიშროებას, გარკვეულწილად, გრძნობენ.

– რა საშიშროებას? შეიძლება, რუსეთმა აფხაზეთში ხელისუფლება სომხებს ჩააბაროს?

– სომხები აფხაზეთში სერიოზულ კულტურულ ავტონომიას ითხოვენ.

– აფხაზეთის შიგნით?

– დიახ. ამ მოთხოვნის მხარდაჭერას ისინი რუსეთიდანაც გრძნობენ და ევროპასა თუ ამერიკაში მცხოვრები სომხებისგანაც.

– სასწავლო დაწესებულებების, თეატრების გახსნა უნდათ?

– საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სომხურ ენაზე სწავლება პირველი ეტაპია. თუ ასე გაგრძელდა, პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნასაც არ გამოვრიცხავ. ამას აფხაზები გრძნობენ.

მკურნალი მუნიერა

აკაცია – უმეტესად ეკლიანი ხეებია. გვხვდება ორივე ნახევარსფეროს ტროპიკებსა და სუბტროპიკებში. ცნობილია 750-მდე სახეობა. მათგან ნახევარზე მეტი გავრცელებულია ავსტრალიაში (იქ აკაცია ეროვნული ემბლემაა), ნაწილი კი – აფრიკასა და ამერიკაში. საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე შემოტანილია ლეგა აკაცია, აბანოზის აკაცია და სხვა.

აკაცია იზრდება მშრალ უდაბნოებსა (მექსიკა, ავსტრალია) და ჭარბტენიან ადგილებში (ინდოეთი, მადაგასკარი). წყვილფრთისებრ-რთული ფოთლები მორიგეობით აქვს განლაგებული.

მრავალ სახეობას (უმთავრესად ავსტრალიურს) ფოთლის ფირფიტა არ უვითარდება და ფოტოსინთეზის ფუნქციას ფოთოლივით გაფართოებული ყუნწი, ე. წ. ფილოდიუმი ასრულებს. სხვა სახეობებს აქვს ეკლებად გარდაქმნილი თანაფოთლები. აკაციის წვრილ-წვრილი, თეთრი, მოყვითალო ან ნარინჯისფერი ყვავილები საგველად ან მტევნად არის შეკრებილი. ნაყოფი პარკია.

აკაციას, როგორც სწრაფზარდ მცენარეს, რგავენ ფერდობების გატყიანებისა და ქალაქების გამწვანებისათვის, მის მერქანს კი იყენებენ ავეჯის წარმოებაში.

ცნობილია აგრეთვე აბრეშუმა აკაცია (ალბიციის გვარის ხე), თეთრი ანუ ცრუაკაცია (რობინიის გვარისა) და ე. წ. ყვითელი აკაცია (უძრახელას გვარის ბუჩქი). ქიმიური შედგენილობა დამატებით შესწავლას მოითხოვს. მცენარე გამოირჩევა თაფლოვნობით.

ხალხური მედიცინა იყენებს მის ქერქს, რომლის ცხელ ნაყენს კუჭის მჟავიანობის აწევისას სვამენ. ყვავილების ნაყენი ხალხურ მედიცინაში იხმარება სიცხის დამწევ და ამოსახველებელ საშუალებად.

თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე მზის ენერგიის სისტემა ამუშავდა

თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე იაპონური მხარის დახმარებით შექმნილი მზის ელექტროენერგიის გამომუშავების სისტემა ამუშავდა. ეკონომიკის სამინისტროს ცნობით, პროექტის შემაჯამებელ ღონისძიებაზე აეროპორტში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ტოშიო კაიტანი, ეკონომიკის სამინისტროს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ გენერალური დირექტორი ქეთი ალექსიძე, თბილისის მერი დავით ნარმანია, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, კომპანია „ტავ ჯორჯიას“ წარმომადგენლები, სხვა ოფიციალური პირები, მოწვეული სტუმრები და მედიის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტომ საქართველოს მთავრობას პროექტისთვის „მზის ენერგიის სისტემით სუფთა ენერგიის გამომუშავება“ 480 000 000 იენის (დაახლ. 4.500.000 აშშ დოლარი) ოდენობის გრანტი გამოუყო. გრანტის მიმღებ ორგანიზაციებად საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი შეირჩა.

– თბილისის საერთაშორისო აეროპორტში იაპონური მხარის დახმარებით დამონტაჟდა მზის პანელები, რომლის მეშვეობითაც მოხდება ელექტროენერგიის გამომუშავება ტერმინალის უზრუნველყოფისთვის. ჩვენ მივესალმებით ამ ძალიან კარგ წამოწყებას და იმედი გვაქვს, რომ ასეთი პროექტები განხორციელდება საქართველოს სხვა აეროპორტებშიც, – განუცხადა ჟურნალისტებს ეკონომიკის სამინისტროს შშს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ხელმძღვანელმა ქეთევან ალექსიძემ.

პროექტის ფარგლებში სამშენებლო სამუშაოები 2015 წლის ნოემბერში დაიწყო. დამონტაჟდა მზის ენერგიის გამომუშავების სისტემა. აეროპორტის ტერიტორიაზე განთავსებული სისტემის საშუალო სიმძლავრე 316 კვტ/სთ-ია, ხოლო წლიური გამომუშავებული ენერგია – 337 000 კვტ/სთ, განთავსების ტერიტორია დაახლ. 4,100 კვ.მ;CO_2-ის ემისიის შემცირება ყოველწლიურად – 187.0 ტ.

მედიანიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ომი ერევნის ქუჩებში

მოკლულია პოლიციელი. ერთ-ერთმა მოქალაქემ თავის დაწვა ცადა

ერევანში ისევ დაძაბული ვითარებაა.

რამდენიმე დღის წინ სომხეთის მთავრობამ ულტიმატუმი წაუყენა ერებუნის რაიონის პოლიციაში გამაგრებულ შეიარაღებულ პირებს.

მოთხოვნა მოკლე და ლაკონიური იყო: ან იარაღს დაყრით, ან გაგანადგურებთ. შედეგად ერევნის თავისუფლების მოედანზე შეკრებილი ხალხის რაოდენობამ იმატა.

ხელისუფლებას ორი გზა დარჩა: ან უკან დაეხია, ან პრობლემა ძალის მეშვეობით გადაეჭრა. მთავრობამ მეორე გზა აირჩია და თავისუფლების მოედანზე შეკრებილთ ომონი და უშიშროების გადაცმული თანამშრომლები დაერივნენ.

სომეხმა ძალოვნებმა გამოიყენეს ცრემლმდენი გაზი, რეზინის ხელჯოხები და ა.შ. გაიმართა ცემა-ტყეპა, რის შედეგად დაშავდა 60 ადამიანი. სასტიკად არიან ნაცემი ჟურნალისტები, მათ შორის რადიო „თავისუფლების“ სომხური რედაქციის კორესპონდენტები.

პოლიციამ 135 ადამიანი დააკავა.

დაზარალებულნი ძალოვანთა მხარესაც არიან. საავადმყოფოში მოთავსებულია 3 პოლიციელი. აქედან ერთ-ერთს მუცლის არეში ცეცხლსასროლი იარაღით აქვს მიყენებული ჭრილობა.

ამრიგად, პოლიციელებმა ხალხი დაშალეს, თავდამსხმელები კი პოლიციის შენობაში დარჩნენ. მათ და პოლიციას შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. ორმხრივი სროლის შედეგად დაიჭრა რამდენიმე თავდამსხმელი. ალიაქოთით შენობაში მყოფმა ორმა ექიმმა მძევალმა ისარგებლა და გაიქცა.

– ექიმმა ნორაირ ტევანიანმა და მედდა მალინა მარქარიანმა შენობის დატოვება შეძლეს, როდესაც მათ დაჭრილი გამოჰყავდათ, – განაცხადეს რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში.

ამის შემდეგ დაპირისპირება თითქოს მინელდა, მაგრამ მალე სროლა განახლდა. ძალოვნებმა ცეცხლი გახსნეს იმ შენობის მიმართულებით, სადაც თავდამსხმელები იყვნენ გამაგრებული. ისინიც ვალში არ დარჩნენ.

ორმხრივი სროლის შედეგად მოკლულია პოლიციის თანამშრომელი, 30 წლის იური ტეპანოსიანი.

ხელისუფლებამ ტეპანოსიანის მკვლელობაში პოლიციის შენობაში გამაგრებული თავდამსხმელები დაადანაშაულა. ისინი კი აცხადებენ, რომ პოლიციელისათვის არ უსვრიათ.

ასეა თუ ისე, დაღვრილმა სისხლმა ცეცხლზე ნავთი დაასხა. ბაგრამიანის მოედანზე კვლავ შეიკრიბნენ მოქალაქეები, რომლებიც პოლიციის შენობაში გამაგრებულ შეიარაღებულ ჯგუფს სოლიდარობას უცხადებდნენ.

ერთ-ერთმა მანიფესტანტმა თავის დაწვა ცადა. მან ბენზინი გადაისხა და ასანთს გაჰკრა.

მანამდე მან გააკეთა განცხადება, რომ სომხეთის უშიშროებაში არიან ძალები, რომლებიც რუსეთზე მუშაობენ.

– ისინი ყველაფერს აკეთებენ, რათა სიტუაცია უმართავი გახდეს და წესრიგის დამყარება რუსეთის არმიას დაეკისროს. ამით კრემლის პროტექტორატი სომხეთზე გაიზრდება, – ამბობდა მანიფესტანტი.

საბედნიეროდ, სხვა მანიფესტანტებმა ცეცხლი დროზე შენიშნეს და ჩააქრეს. მამაკაცს პირველი დახმარება გაუწიეს. მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

აშშ-ის ელჩმა სომხეთში მოკლული პოლიციელის ოჯახს თანაგრძნობა გამოუცხადა და ორივე მხარეს მოუწოდა, ძალისმიერი დაპირისპირებისგან თავი შეიკავონ. ელჩმა აღნიშნა, რომ ვაშინგტონი პერსონალურ სანქციებს შემოიღებს ყველა იმ თანამდებობის პირის მიმართ, რომლებმაც დემონსტრანტების წინააღმდეგ არაადეკვატური ძალის გამოყენების ბრძანება გასცეს.

პრეზიდენტმა სარგსიანმა, თავის მხრივ, თქვა, რომ დემონსტრანტების, განსაკუთრებით ჟურნალისტების, ცემის ყველა ფაქტი საგულდაგულოდ იქნება გამოძიებული.

– დამნაშავენი დაისჯებიან, – განაცხადა სარგსიანმა.

გუშინ, 31 ივლისს, ცნობილი გახდა, რომ საკოორდინაციო საბჭომ, რომელიც ოპოზიციონერი აქტივისტის ჟირაირა სეფილიანის გათავისუფლების მოთხოვნით პერმანენტულ აქციებს მართავდა, თავისი მუშაობა დაასრულა.

– საბჭოს წევრების უმეტესობა დაკავებულია, დარჩენილებს კი ხელისუფლებისთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი არ აქვთ, – განაცხადა საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ალბერტ ბაღდასარიანმა.

გუშინვე ერებუნის პოლიციაში შეჭრილი შეიარაღებული დაჯგუფების 2 წევრი სამართალდამცველებს ჩაბარდა, ორი კი დაშავდა და ჰოსპიტალში გადაიყვანეს.

– პოლიციის განყოფილების შენობიდან დაჯგუფების ორი წევრი გამოვიყვანეთ, რომელთაგან ერთ-ერთი – რუბენ გრიგორიანი, მეორე კი გევორგ მელკონიანია, – ნათქვამია პოლიციის სამმართველოს წარმომადგენლის განცხადებაში.

ეუთომ კონფლიქტში ჩართულ მხარეებს თავშეკავებისკენ მოუწოდა და გააფრთხილა, არ მიმართონ ძალადობრივ და პროვოკაციულ ქმედებებს.

– სიტუაცია კონტროლირებადი უნდა გახდეს, საზოგადოებრივი წესრიგი კი კანონის უზენაესობისა და დემოკრატიულობის ფარგლებში უნდა აღდგეს, – ნათქვამია განცხადებაში.

მკურნალობა მამაკაცებისთვის!

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასოა!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

ჰილარიმ ობამას მადლობა გადაუხადა

აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა ჰილარი კლინტონმა პრეზიდენტ ობამას მადლობა გადაუხადა.

ქალბატონმა ჰილარიმ ასევე თბილი სიტყვით მოიხსენია ობამას მეუღლე და პირველი ლედი მიშელ ობამა, აგრეთვე ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი.

– მათი მხარდაჭერა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, – განაცხადა ჰილარი კლინტონმა.

პრეზიდენტობის კანდიდატი განსაკუთრებით თავისი მეტოქის, სენატორ ბარნი სანდერსის პიროვნებაზე შეჩერდა და აღნიშნა, რომ სანდერსი ღირსეული პიროვნებაა და პრაიმერიზშიც ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია.

– ბარნი სანდერსის პროგრამაში ბევრი რამაა საინტერესო. თუკი პრეზიდენტად ამირჩევენ, მათ განხორციელებას შევეცდები, – ამბობს ჰილარი კლინტონი.

პუტინი სლოვენიას ეწვია

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი არაფორმალური ვიზიტით სლოვენიას ეწვია. ის სლოვენიის პრეზიდენტ ბორუტ პაჰორს შეხვდა.

მოლაპარაკებები ორ ქვეყანას შორის ორმხრივ ურთიერთობებს შეეხო. პუტინმა რუსეთის მიმართ სანქციების საკითხი წამოჭრა. პაჰორმა განაცხადა, რომ სლოვენია უკრაინის დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს, თუმცა თვლის, რომ დონბასისა და ყირიმის საკითხები მშვიდობიანად უნდა გადაწყდეს.

– დღეს სამყარო მესამე მსოფლიო ომის ზღვარზეა. ეს არ უნდა დავუშვათ, – თქვა პაჰორმა.

სლოვენიის პრეზიდენტმა უარყო პუტინის წინადადება რუსეთის მიმართ სანქციების გაუქმებისთვის მხარდაჭერის შესახებ. ამავე დროს, მან გაიზიარა პუტინის მოსაზრება, რომ ისტორიის მანიპულირება პოლიტიკური მოტივებით დაუშვებელია, მაგრამ არ დაეთანხმა იმას, რომ უკრაინელი ნაციონალისტები, კერძოდ, ბანდერელები, ნაცისტები იყვნენ.

– თავის დროზე ნიურნბერგის ტრიბუნალმა განაცხადა, რომ არც ბანდერა, არც მისი მომხრეები ნაცისტები არ ყოფილან. ამიტომაც ბანდერა საბჭოთა კავშირს არ გადასცეს, – თქვა პაჰორმა.

პუტინმა მონაწილეობა მიიღო იმ რუსი ჯარისკაცების მემორიალის გახსნაში, რომლებიც სლოვენიის ტერიტორიაზე პირველი მსოფლიო ომის დროს დაეცნენ. რუსეთის პრეზიდენტი შეეცადა, სლავური ერთიანობის გრძნობაზეც ეთამაშა.

– რუსები და სლოვენები სლავები ვართ, ამიტომ ერთად უნდა ვიყოთ, – აღნიშნა პუტინმა.

სლოვენების მხრიდან ამას განსაკუთრებული ენთუზიაზმი არ მოჰყოლია.

– სლოვენია დასავლეთისკენ მიისწრაფვის. მოვუწოდებ ჩვენს რუს პარტნიორებს, ამ მაგალითს მიბაძონ და ერთადაც ვიქნებით, – მიუგო პაჰორმა.

მოამზადა ნიკა თეგზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

● გიწვევთოფისშისამუშაოდ,აუცილებელია რუსული ენის ცოდნა. ტელ: 555-288-098.

იყიდება

● იყიდება მაღალი ხარისხის სმენის აპარატები (სმენადაქვეითებულთათვის) გარანტიით, ძირითადად იაპონური და გერმანული წარმოების. ტელ: 272-95-11; 597-99-15-19.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 593 50-16-08.

მკურნალობა

● ექიმი პროფესიონალი ვმკურნალობ სექსუალურ უძლურებას; სასქესო ორგანოს, სათესლე ჯირკვლებისა და პროსტატის დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას – მამაკაცებში. მკურნალობაში ვიყენებთ სათანადო აპარატსა და კავშირის დასამყარებელ საიმედო „ერექტორს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ –ჩიყვი (კვანძოვანი-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

საქართველოს რუსებმა ლიცენზია აჩუქეს

საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებს რიოში კიდევ ერთი წევრი ეყოლება – ოლიმპიური ლიცენზია მიიღო ძალოსანმა ანასტასია გოტფრიდმა, რომელიც საქართველოს სახელით 2015 წლიდან გამოდის. ანასტასია მე-40 სპორტსმენია, რომელიც საქართველოს რიოში წარადგენს.

საქმე ის არის, რომ ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, რუსეთის ნაკრები სრული შემადგენლობით მოიხსნა რიოს ოლიმპიური თამაშებიდან და დარჩენილი ლიცენზიები გადანაწილდა 8 ქვეყანაზე. ამ სიაში მოხვდა საქართველოც და ასე გახდა ანასტასია გოტფრიდი რიოს ოლიმპიადის მონაწილე.

ანასტასია გოტფრიდმა საქართველოს სახელით უკვე მოასწრო ვერცხლის მედლის მოგება ევროპის ბოლო ჩემპიონატზე და წელს, თბილისში დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე იუნიორთა შორის ოქროს მედალი მოიპოვა. გოტფრიდი +75 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდის.

ამ ამბავთან დაკავშირებით გახარებულია საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი კახი კახიაშვილი, რომელიც უკვე რიოში იმყოფება.

კახი კახიაშვილი:

– ანასტასიამ მიიღო ლიცენზია და ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. გვეგონა, რომ გოტფრიდმა ეს ლიცენზია ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილით მოიპოვა, მაგრამ მოგვიანებით გვითხრეს, მხოლოდ 3 ლიცენზია გვაქვს და სამივე კაცებშიო.

– ნაკრების ერთი წევრი უკვე ადგილზეა – გიორგი ჩხეიძე. რა მდგომარეობაა რიოში?

– მიდის აკლიმატიზაციის პროცესი. დელეგაციის ერთი ნაწილი აქ არის, ვეცნობით ქალაქს. ოდნავ ცივა და ჯერ თბილ ტანსაცმელს ვიყენებთ. სპორტსმენებს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ, რომ არ გაცივდნენ, ზედმეტად არ გადაიტვირთონ.

– რამდენად ემჩნევა ქალაქს გრანდიოზული სპორტული ტურნირის მასპინძლობა?

– საერთოდ არ ემჩნევა, რომ ქალაქი ამდენად გრანდიოზულ ტურნირს ატარებს. ქალაქის ცენტრალურ უბნებში საერთოდ არ ჩანს არცერთი მინიშნება, რომ მალე ოლიმპიადა იწყება. ოდნავ მეტ სიხარულსა და აჟიოტაჟს ველოდებოდი.

18 წლამდე ნაკრებმა ბ დივიზიონი მეტოქეთა განადგურებით დაიწყო

ჩინებულად დაიწყო დაიწყო საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ბ დივიზიონი. გია კაზანჯიანის, არჩილ ჟღენტისა და მიხეილ კობეშავიძის გაწვრთნილმა გუნდმა სტარტზე ზედიზედ 2 გამარჯვება იზეიმა და ორივე მეტოქე გამანადგურებელი ანგარიშით დაამარცხა.

აღსანიშნავია, რომ კალენდარი საჩვენოა და კაზანჯიანის (მთავარი მწვრთნელი) გუნდს ტურნირის საწყის 2 მატჩში აუტსაიდერები შეხვდნენ, რომლებთან მატჩებიც მწვრთნელთა შტაბმა გუნდის შესათამაშებლად, კომბინაციების დასახვეწად და, ზოგადად, სავარჯიშოდ გამოიყენა.

პირველად ქართველებს მეტოქედ აუტსაიდერი ალბანეთი ჰყავდათ, რომელიც 55 ქულით დაამარცხეს. მწვრთნელმა მოედანზე გასვლის საშუალება 12-ვე კალათბურთელს მისცა და მათ სათამაშო დრო თითქმის თანაბრად გადაუნაწილა. პირველი მეოთხედის შემდეგ ქართველები 30:12 იგებდნენ, დიდ შესვენებაზე კი 34-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ. მატჩის ბედიც, ფაქტობრივად, აქ გადაწყდა, რის შემდეგაც ქართველებმა ტემპი მაინც არ დააგდეს და მეტოქეს ხელი არც სათადარიგო მოთამაშეებმა არ დააკლეს.

საბოლოოდ 94:39 – საქართველოს ნაკრების რეკორდული გამარჯვება ევროასპარეზზე. ქართველთაგან 5 მოთამაშე ასცდა 10-ქულიან ზღვარს – ყველაზე მეტი, 17 ქულა (და 7 პასი) ლევან ბაბილოძემ მიითვალა. 14 ქულა დააგროვა ლუკა ბულაშვილმა, ხოლო მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლი გოგა ბითაძის ანგარიშზეა – 12 ქულა, 11 მოხსნა.

შემდეგ მეტოქე დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს წარმომადგენლები, შოტლანდიელები იყვნენ, რომლებიც ქართველებმა 53 ქულით დაჯაბნეს და 2 ტურის შემდეგ, ტურნირის მონაწილე 24 გუნდს შორის საუკეთესო შედეგი აქვთ.

ორიდან 2 მოგებითა და ბურთების სოლიდური შეფარდებით გაერთიანებულ ცხრილში ქართველები ყველას ზევიდან დაჰყურებენ.

შოტლანდია რომ საქართველოს კალიბრის ნაკრები არაა, ვიცოდით და ბრიტანელებს გარდაუვალი მარცხი არ ასცდებოდათ.

მოედანზე კვლავ ყველა გავიდა და სათამაშო დროც თითქმის თანაბრად გადანაწილდა. 6 ქართველი 10-ქულიან ზღვარს ასცდა, რომელთაგან ორმა – გიორგი კორსანტიამ (12 ქულა, 18 მოხსნა) და გოგა ბითაძემ (13 ქულა და 12 მოხსნა) ორმაგი დუბლები გაიფორმეს. 13-13 ქულას ნიკა ლეონიძემ და ლუკა ბულაშვილმა უწიეს, ნიკა დარბაიძემ კი 14 ქულა მიითვალა.

მარიან ვლაკი: „თბილისში ქვილითაია უნდა გავანეიტრალოთ“

ხვალ თბილისის დინამო უეფას ჩემპიონთა ლიგის მე-3 საკვალიფიკაციო ეტაპზე განმეორებით მატჩს გამართავს ზაგრების დინამოსთან.

ქართველებს პირველი მატჩი 0:2 აქვთ წაგებული, რაც შანსებს მნიშვნელოვნად ამცირებს. მიუხედავად ამისა, ზაგრებელები მეტოქეს უფრთხიან, განსაკუთრებით კი თავდამსხმელ გიორგი ქვილითაიას, რომელსაც ლეგენდარულ კოტდივუარელ თავდამსხმელ დიდიე დროგბას ადარებენ.

მარიან ვლაკი, ზაგრების დინამოს სპორტული დირექტორი:

– პირველ მატჩში თბილისის დინამო საკმაოდ გახსნილ ფეხბურთს გვეთამაშა, ამას არ მოველოდით, იარაბეკის ფეხბურთელები მოედნის ცენტრიდან ცდილობდნენ შეტევას. მათ მთავარი ბომბარდირი აკლდათ, როგორც ვიცით, ქვილითაია თბილისში ითამაშებს, რაც მეტოქის შეტევებს ბევრად მწვავეს და სახიფათოს გახდის.

დაცვაში ყურადღებით უნდა ვითამაშოთ და ჩვენს შანსებს დაველოდოთ, რომელიც აუცილებლად გვექნება. ქართველები ეცდებიან საჰაერო ორთაბრძოლების უპირატესობა გამოიყენონ, რადგან მათი „დროგბა“ თავით კარგად თამაშობს, ჩვენი მცველები ქვილითაიას სრულიად განეიტრალებას შეეცდებიან.

რეალს კონკურენტები უგებენ

როგორც ჩანს, მადრიდის რეალი ვეღარ არის ისეთივე ძლევამოსილი, რომ ყველა საჭირო ფეხბურთელი თავისთან მიიყვანოს.

ესპანურ მედიაზე დაყრდნობით, მადრიდის რეალმა ბრძოლა მანჩესტერ იუნაიტედთან წააგო. საქმე ის არის, რომ პოლ პოგბა მაიამიშია, სადაც სამედიცინო შემოწმებას გაივლის, შემდეგ კი მანჩესტერელთა ფეხბურთელი გახდება. არადა, რეალი მზად იყო მის შესაძენად, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი სწორად ვერ გათვალა.

პოგბას შემდეგ რეალი პსჟ-ს ნახევარმცველ მარკო ვერატიზე გადაერთო, თუმცა კონკურენტი აქაც გამოუჩნდა – ტურინის იუვენტუსი, რომლის ღირსებაც იცავდა პოგბა. მისი წასვლის შემდეგ კი იტალიელებს ღირსეული შემცვლელი დაჭირდებათ.

მადრიდელთა თვალთახედვის არეშია ლონდონის ჩელსის ბელგიელი ნახევარმცველი ედენ აზარიც. თუმცა, „არისტოკრატთა“ მთავარ მწვრთნელ ანტონიო კონტეს ბელგიელის გაშვება ასე იოლად არ სურს – იტალიელი სპეციალისტი მზად არის, სამეფო კლუბს აზარი დაუთმოს, მაგრამ სანაცვლოდ ალვარო მორატა უნდა მიიღოს.

ამ ბარტერული გარიგების შემთხვევაში, ლონდონელები ფინანსურ სარგებელსაც ითხოვენ.

ბარსას 4 კაპიტანი

საინტერესო შემთხვევა დაფიქსირდა ბარსელონასა და სელტიკს შორის გამართულ ამხანაგურ მატჩში – კატალონიური გუნდის კაპიტნის სამკლავური ოთხმა ფეხბურთელმა მოირგო.

თავიდან კაპიტანი ლიონელ მესი იყო, რომელიც შესვენებაზე შეცვალეს. როდესაც მესი მოედანზე აღარ გამოვიდა, გუნდის დანარჩენი 3 კაპიტნის (ინიესტა, მასკერანო, ბუსკეტსი) არყოფნაში სამკლავური სერჟი რობერტომ გადაიბარა. მოედნიდან მისი გასვლის შემდეგ კაპიტანი უკვე ხორდი მასიი გახდა, ხოლო როდესაც მოედანი პირველი გუნდის მე-3 მეკარემაც დატოვა, სამკლავური ალეშ ვიდალმა ჩაიბარა.

არიგო საკიმ მესის მარადონა და დი სტეფანო ამჯობინა

ლეგენდარული იტალიელი სპეციალისტი არიგო საკი ლიონელ მესიზე საუბრობს და აცხადებს, რომ ბარსას 10 ნომერი თანამედროვეობის საუკეთესო ფეხბურთელია, მაგრამ არგენტინას მასზე უკეთესი ფეხბურთელებიც ჰყოლია.

გარდა ამისა, საკი მესის ნაკრებში დაბრუნებაზეც მიუთითებს, რადგან მის დარ ფეხბურთელს დასაკარგად ვერ იმეტებს.

არიგო საკი:

– საუკეთესო არგენტინელი? მარადონა ან დი სტეფანო. ორივე უდიდესი მოთამაშე იყო. ისინი ერთმანეთისგან განსხვავებულები იყვნენ, მაგრამ დიდებულები. მარადონა უფრო ნიჭიერია, დი სტეფანო კი მოედანზე ყველგან იყო.

მესი დღესდღეობით მსოფლიოში საუკეთესოა, მაგრამ მას მარადონას თვისებები არ აქვს. დიეგომ წარმატებას ესპანეთსა და იტალიაში მიაღწია, რაც ძალიან ძნელია. მისი შეჩერება არავის შეეძლო.

დარწმუნებული ვარ, მესი აზრს შეიცვლის და არგენტინის ნაკრებში დაბრუნება. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი არ უნდა დავკარგოთ.

მესი თუ რონალდუ? კრიშტიანუ სამაგალითო პროფესიონალია, მაგრამ მას ლეოს მსგავსი ნიჭი არ აქვს.

შედეგები

30 ივლისი

ფეხბურთი

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

რედ სტარი-ოსერი	0:0

ხუთეთი. ჰუმიეჩლიგა

ზენიტი-ლოკომოტივი	0:0
ანჟი-ცსკა	0:0
როსტოვი-ორენბურგი	1:0

შვეიცარია. სუპერლიგა

სიონი-სტ.გალენი	2:1
იანგ ბოიზი-ლუგანო	1:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

ზალცბურგი-ვოლფსბერგერი	1:1
რიდი-შტურმი	1:0

ბელგია. 1 დივიზიონი

მუსკრონი-ანდერლეხტი	1:2
ვარეგემი-ეუპენი	3:0
სტ.რეუიდენი-ლოკერენი	1:0
შარლერუა-ბევერნი	1:0

ჩეხეთი. სინოტ ლიგა

იიჰლავა-პლზენი	1:2
ზლინი-პრუიბრუამი	2:0
იაბლონეცი-კარვინა	5:3
სპარტა-სლოვაცკო	3:2

ჰოლონეთი. ექსტრაჯლასა

ლეხია-ვისლა	3:1
პლოცკი-ლეგია	2:3

უკრაინა. ჰუმიეჩლიგა

ვოლინი-ოლიმპიკი	2:2
ზვეზდა-ზორია	1:1
ჩერნომორეცი-შახტარი	1:4

დანია. სუპერლიგა

კოპენჰაგენი-ნორდსიელანდი	4:0

შვედეთი. ალსვენსკა

გეფლე-ჰამარბი	0:2
სუნდსვალდი-ნორჩიოპინგი	1:2
ესტერსუნდი-ელფსბორგი	0:0

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

კემი-ვაასა	0:0
ჰიფკი-სეინეიოკი	1:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

თურქეთი: დაკავებული სამხედროების ნაწილი გაათავისუფლეს

სტამბოლის სასამართლომ გაათავისუფლა 750 თურქი კურსანტი. მათ შეიარაღებულ გადატრიალებაში მონაწილეობა ედებოდათ ბრალად.

სასამართლომ დაამტკიცა, რომ ისინი უდანაშაულონი იყვნენ.

ჯერჯერობით კვლავაც დაკავებულია თურქი სამხედროების დანარჩენი ნაწილი. მალე მათ საქმეებსაც სასამართლო განიხილავს.

ამასობაში ერდოღანის ბრძანებით სამხედრო აკადემიები გაუქმდა.

– მათ ნაცვლად სამხედრო უნივერსიტეტები შეიქმნება, – აცხადებს თურქეთის პრეზიდენტი.

სამხედროების გარდა, ერდოღანი საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებსაც მიადგა.

საკონსტიტუციო სასამართლოს 60-მდე მოსამართლეს თანამდებობა დაატოვებინეს.

უკრაინა: რეგიონების პარტიის ლიდერი დააპატიმრეს

უკრაინის პროკურატურამ დააპატიმრა რეგიონების პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ალექსანდრე ეფრემოვი. მას დიდი რაოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცება და სეპარატისტებთან კავშირი ედება ბრალად.

ეფრემოვი ბორისპოლის აეროპორტში აიყვანეს, საიდანაც ის ვენაში გაფრენას ლამობდა.

– ეფრემოვი საშიში დამნაშავეა, ამიტომ მისი გირაოთი გათავისუფლების შესაძლებლობას გამოვრიცხავ, – განაცხადა უკრაინის გენერალურმა პროკურორმა იური ლუცენკომ.

ეფრემოვის დაკავება უკრაინის პრორუსულმა ძალებმა უკვე გააპროტესტეს. „ოპოზიციურმა ბლოკმა“ მომხდარი პოლიტიკურ დევნად მონათლა და ეფრემოვის დაუყოვნებლივი გათავისუფლება მოითხოვა.

დონბასში ეუთოს მეთვალყურეებს თავს დაესხნენ

დონბასში ბრძოლები გრძელდება. მარინკასთან უკრაინელმა სამხედროებმა მტრის დივერსიული ჯგუფი გაანადგურეს. მოკლულია 8 რუსი ჯარისკაცი.

პასუხად რუსებმა ჯავრი ეუთოს მისიის დამკვირვებლებზე იყარეს. მათი გააფთრება იმანაც გაამძაფრა, რომ ეუთოს დამკვირვებლებმა კიდევ ერთხელ დააფიქსირეს სეპარატისტების მიერ მინსკის შეთანხმებების დარღვევის ფაქტი.

სეპარატისტებიც ეუთოს დამკვირვებლებს თავს დაესხნენ. მათი მანქანა გააჩერეს, ეუთოს წარმომადგენლები კი გადმოიყვანეს და გაჩხრიკეს.

სეპარატისტები აგრესიულად იქცეოდნენ. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ეუთო მხარს უკრაინას უჭერს და ა.შ.

– რატომ არ უწესებენ სანქციებს უკრაინას? ვერ ხედავთ, რომ მთელი დონბასი დაადუღეს?! – ყვიროდნენ სეპარატისტები.

ამის შემდეგ ეუთოს დამკვირვებლები საკონტროლო-გამშვებ პუნქტში წაიყვანეს, სადაც მათი დაკითხვა გაგრძელდა.

საათ-ნახევრის შემდეგ ეუთოს დამკვირვებლები გაათავისუფლეს.

ამავე დროს, ავდეევკაში შედგა აქცია. ხალხი ქალაქისა და პრომზონის სეპარატისტებისგან გათავისუფლებას ზეიმობდა.

– არა სეპარატიზმს! ჩვენ ერთიანი უკრაინა გვინდა! – სკანდირებდნენ აქციის მონაწილენი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ასტროპროგნოზი

1 აგვისტოსთვის

ვერძი – დაძაბული ხართ. ოჯახურ ცხოვრებაშიც და პროფესიონალურ სფეროშიც გარკვეული სირთულეები შეგხვდებათ. ქალებმა ახალ ნაცნობობას თავი აარიდეთ. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა, განსაკუთრებით – ბიზნესმენებისთვის. გელით მატერიალური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. **ტყუპები** – ვარსკვლავები მიზნის მიღწევაში გეხმარებიან. ხელსაყრელ წინადადებას მიიღებთ, თუმცა სიყვარულში, შესაძლოა, მარცხი განიცადოთ. **კირჩხიბი** – ქარაფშუტობა და საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულება ხელს გიშლით ჩანაფიქრის რეალიზებაში. იყავით მობილიზებული და პრინციპული. **ლომი** – ახალგაცნობილ ადამიანს არ ენდოთ. სამსახურში პრობლემები შეგხვდებათ. **ქალწული** – ნუ იაქტიურებთ. საქმიან პარტნიორებთან მცირე გაუგებრობა და უსარგებლო საუბრებია მოსალოდნელი. **სასწორი** – მძიმე და სახიფათო დღეა. შეძლებისდაგვარად თავი შეიკავეთ ყოველგვარი კონტაქტისაგან. ახლობელ ადამიანთან შესაძლოა ურთიერთობა გაგიფუჭდეთ. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა. სამსახურში პრობლემები თანდათან გვარდება. სასიამოვნო ახალი ამბავი სიცოცხლის სიხარულით აღგავსებთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება, რაც დადებითად აისახება როგორც თქვენს პირად ცხოვრებაზე, ისე საქმიან ურთიერთობებზე. ვარსკვლავები გწყალობენ. **თხის რქა** – დაძაბული ხართ. ოჯახურ ცხოვრებასა და პროფესიონალურ სფეროში გარკვეული სირთულეები შეგხვდებათ. ქალებმა ახალ ნაცნობობას თავი აარიდეთ. **მერწყული** – კარგი დღეა ურთიერთობების გასაფართოებლად, ახალი ნაცნობების შესაძენად, რაშიც თქვენი კომუნიკაბელურობა ძალიან დაგეხმარებათ. **თევზები** – საქმიანი კონტაქტები წარმატებას მოგიტანთ. აქცენტი მთავარზე გააკეთეთ და ენერგიას წვრილმანებზე ნუ დახარჯავთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ობამა მეუღლეს სიყვარულში გამოუტყდა

აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა კიდევ ერთხელ გამოუტყდა საკუთარ მეუღლე მიშელს სიყვარულში. ეს მას შემდეგ მოხდა, როდესაც პირველი ლედი ფილადელფიაში დემოკრატების ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა.

– საოცარი ქალის საოცარი სიტყვა იყო, – დაწერა ობამამ ტვიტერში და იქვე აღნიშნა, რომ ამაყობს მეუღლით.

ამერიკის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მის ქვეყანას გაუმართლა, რომ ასეთი პირველი ლედი ჰყავს.

– მე შენ მიყვარხარ, მიშელ, – დაამატა ბოლოს ბარაკ ობამამ.

დემოკრატების ყრილობაზე მიშელ ობამამ მხარდაჭერა გამოხატა ყოფილი სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის მისამართით და ის ერთადერთ ღირსეულ კანდიდატად მიიჩნია სახელმწიფო მეთაურის თანამდებობის დასაკავებლად.

ჯონსონის კატა დაუნინგ-სტრიტიდან გამოაძევეს

პალმერტონის შავ-თეთრი კატა, რომელიც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში მთავარი მეთაგვის თანამდებობაზე მუშაობდა, დაუნინგ-სტრიტიდან გამოაძევეს.

პალმერსტონი გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში ღიად დარჩენილი კარიდან შეიპარა, მაგრამ მინისტრის ბორის ჯონსონის კატა დაიჭირეს. პოლიციის თანამშრომელმა კატა უცერემონიოდ გამოაძევა რეზიდენციიდან.

უცნობია, თუ რა რეაქცია ჰქონდა ამ ყოველივეზე დაუნინგ-სტრიტის მთავარ მეთაგვე კატას, სახელად ლარის. ბოლო დროს კატები აქტიურად იბრძვიან პრემიერ-მინისტრის რეზიდენციისთვის და ამის მიზეზი ლარის თათის ტრავმა გახლდათ, მაგრამ მან ის უკვე მოირჩინა და ტრიუმფალურად დაბრუნდა უკვე ახალი პრემიერ-მინისტრის რეზიდენციაში.

ბრიტანულ ოჯახში მე-19 ბავშვი დაიბადა

ბრიტანეთის ქალაქ მორკამში მცხოვრებ ოჯახში მე-19 ბავშვი დაიბადა. ბრიტანული პრესა მათ ოჯახს „ქვეყანაში ყველაზე მრავალრიცხოვანს“ უწოდებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 41 წლის სიუსა და 46 წლის ნოელ რედფორდების უფროსი შვილი 27 წლისაა. ამჯერად წყვილს გოგონა შეეძინა, რომელიც, დედის თქმით, შესაძლოა, მათი ბოლო შვილი აღმოჩნდეს.

– არასოდეს თქვა არასოდეს, – განაცხადა სიუმ, რომელმაც 2014 წელს მე-19 ბავშვი ფეხმძიმობის 23-ე კვირას დაკარგა.

აღსანიშნავია, რომ ოჯახის ძირითადი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ნოელის მფლობელობაში არსებული საცხობი. მათი თქმით, ისინი საკრედიტო ბარათებით არ სარგებლობენ, ხოლო მათი წლიური ხარჯი 43 ათას დოლარს შეადგენს. მათში შედის საშობაო და სხვა სადღესასწაულო ხარჯებიც.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ლონდონში დაკარგული კატა პარიზში აღმოჩნდა

კატა, რომელიც რვა წლის წინ ლონდონში მცხოვრები მისი პატრონების სახლიდან დაიკარგა, პარიზში იპოვეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 39 წლის მარნა გილიგანმა და 36 წლის შონ პერდიმ თავიანთი საყვარელი შინაური ცხოველი 2008 წლის საახალწლო საღამოს შემდეგ ვეღარ იპოვეს. კატის, სახელად მუნ იუნიტის უშედეგო ძებნის შემდეგ მათ გადაწყვიტეს, რომ მას ვეღარასოდეს ნახავდნენ.

ბრიტანელებს, რომლებიც, მართალია, ერთმანეთს დაშორდნენ, მაგრამ მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნეს, გასულ კვირას პარიზის ერთ-ერთი ცხოველთა თავშესაფრიდან დაურეკეს. დაწესებულების თანამშრომლებმა, სადაც ცხოველი აღმოჩნდა, მისი მიკროჩიპიდან ინფორმაციის წაკითხვა მოახერხეს, რისი წყალობითაც დაადგინეს კატის სახელი და მისი პატრონების მისამართი.

პარიზის თავშესაფრიდან მიღებული ზარის შემდეგ შონ პერდი საფრანგეთის დედაქალაქში გაემგზავრა და კატა ლონდონში წამოიყვანა, ხოლო თუ როგორ აღმოჩნდა მუნ იუნიტი თავისი პატრონების სახლიდან 450 კილომეტრის დაშორებით, თანაც ზღვის გადაღმა, უცნობია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სჯანვოხდი



1. იალქანი; 2. სამეტყველო ორგანო; 3. მდინარე აზიაში; 4. საფლობი ტალახი; 5. ხელოვნური თავლია წყალსაცავი; 6. თავნება; 7. სახელმწიფოთა ერთგვარი კავშირი; 8. ტიბეტური ხარი; 9. ... სარკოზი; 10. პარკოსანი მცენარე; 11. ერთი სახელმწიფოს მეორეზე თავდასხმა მისი დაპყრობის მიზნით; 12. ეშმაკი; 13. ახლის აღმნიშვნელი წინსართი; 14. ...-ლანკა; 15. პატარა სასიმღერო ლირიკული ლექსი; 16. ვაშლის ჯიში; 17. ქიმიური ელემენტი; 18. ზოგი დიდი ცხოველის ფეხი; 19. ... ჩიმარო; 20. ხელოვნების დარგი; 21. ქალაქი რუმინეთში; 22. ... პაჩინო; 23. ერთგვარი წითელი ღვინო; 24. სინაგოგა; 25. ცხიმოვანა; 26. ქალაქი ბელგიაში; 27. მდინარე ევროპაში; 28. სპორტული იარაღი; 29. დამხმარე თეორემა; 30. ... ჰიტლერი; 31. საეკლესიო თანამდებობებით ვაჭრობა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჩაქურა; 2. ვლტავა; 3. ტელფერი; 4. კიელინი; 5. რომანსი; 7. პალანგა; 11. თერგი; 12. „აიაქსი“; 13. კაზუარი; 14. კარდიფი; 15. გუცული; 17. ანხელი; 19. დოღი.

თარაზულად: 5. რაფაელი; 6. გოლეული; 8. ვალი; 9. ტესტი; 10. ნევადა; 11. თული; 13. კალაჰარი; 14. კარგო; 16. ჩაუქი; 18. შოუდუ; 20. ფარღული; 21. ლაქლაქი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბუსოლი; 2. ფეოდალი; 3. კემბრიჯი; 4. ბიჭვინთა; 8. ამაშუკელი; 9. დუბლიკატი; 11. „გუდვილი“; 12. მასა; 14. იდეა; 16. სუვენირი; 17. ფაგოციტი; 19. ქოქოსი; 21. კობრა.

თარაზულად: 5. რეფლექსი; 6. კომერცია; 7. კალანდაძე; 10. ნიამეი; 13. ბებუთი; 15. ისტვუდი; 18. გუთანი; 20. ბოტეგა; 22. ფოქსტროტი; 23. პროგრესი; 24. ტრავოლტა.

ნინი ბრეგვაძე მოატყუეს

მომღერალი ნინი ბრეგვაძე, რომელიც ფართო საზოგადოებამ „იქს ფაქტორიდან“ გაიცნო, მოატყუეს.

როგორც „იქს ფაქტორის“ ფინალისტმა განაცხადა, მას პროექტში საჩუქრად ბრაზილიის საგზური გადაეცა, თუმცა პრიზი მისთვის რეალურად არავის გადაუცია.

ნინი ბრეგვაძე:

– ოლიმპიადაზე გამახსენდა, მადლობა მინდა გადავუხადო თბილისი 2015-ს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ბრაზილიის საგზურისთვის, რომელიც შარშან „იქს ფაქტორში“ „მაჩუქეს“. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, დამსახურებული პრიზი რეალურად გადმოეცათ.

კრისტინა აგილერა: „მინდა, ყველას მადლობა გადაგიხადოთ“

გრემის ექვსგზის მფლობელმა კრისტინა აგილერამ შეკვეთილში ბლექ სი არენას საკონცერტო დარბაზი გახსნა.

მომღერალი ბათუმში კონცერტამდე რამდენიმე დღის ადრე 40-კაციან ჯგუფთან ერთად ჩაფრინდა.

შეკვეთილში მდებარე საკონცერტო დარბაზში აგილერას კონცერტს დაესწრნენ ბერა ივანიშვილი, ირაკლი ღარიბაშვილი და სხვა ცნობილი სახეები. კონცერტზე დასწრების საშუალება 9.500-მდე ქართველ და უცხოელ მსურველს მიეცა.

კონცერტზე მომღერალმა მის მიერ დაწერილი ცნობილი ჰიტები შეასრულა, თუმცა მსმენელს მაინც გული დასწყდა, რომ მომღერალმა თავისი ერთ-ერთი ჰიტი „ჰართ“ არ იმღერა.

კრისტინა აგილერამ კონცერტზე მისულ მსმენელს სიტყვით მიმართა და მადლობა გადაუხადა:

– მიხარია, რომ დღეს აქ ამდენ ლამაზ სახეს ვხედავ. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ვიმყოფები ამ სცენაზე. მინდა, ყველას მადლობა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ დღევანდელ საღამოს ჩემთან ერთად ატარებთ.

მომღერლის თქმით, მას ძალიან მოეწონა საქართველო, ბათუმი და ქართული სიმღერა.

ყველასთვის მოულოდნელად, კრისტინა აგილერამ სცენაზე ქართველი მომღერლები მიიწვია და ქართული სიმღერა შეასრულა. მან სცენა ბათუმელ მომღერლებს დაუთმო, რომლებსაც ქედაში, ღვინის სახლში სტუმრობისას შეხვდა და მათი სიმღერა მოისმინა.

– ღვინის სახლში რამდენიმე მეგობარი ვიყავით. ყველა ვმღერით. მოულოდნელად მოვიდა კრისტინა აგილერა 40-კაციან ჯგუფთან ერთად. ყველა მეგობარი პროფესიონალი მომღერლები ვართ, გვიცნობენ და გვთხოვეს ღვინის სახლის წარმომადგენლებმა, ერთი სიმღერა შეგვესრულებინა სტუმრისთვის. საოცარი რეაქცია ჰქონდათ.

კონცერტის დღეს კი, აბსოლუტურად მოულოდნელად, დაგვირეკეს და გადმოგვცეს აგილერას თხოვნა, მიგვეღო მის შოუში მონაწილეობა. საოცარი დღე იყო. ძალიან მიხარია, არაჩვეულებრივი მომღერალი და მუსიკოსია, – განაცხადა ბათუმელმა მომღერალმა სულხან ჯაიანმა.

საქართველოდან გამგზავრების შემდეგ კრისტინა აგილერას ინსტაგრამისა და ფეისბუქის ოფიციალურ გვერდებზე, რომელთაც, საერთო ჯამში, 30 მილიონამდე გამომწერი ჰყავს, ახალი ფოტო განთავსდა. მასზე კრისტინა აგილერა და მისი ჯგუფის წევრები არიან გამოსახულნი, ფოტოს კი ასეთი წარწერა აქვს:

– ვბრუნდებით უკან საქართველოში გამართული საოცარი შოუს შემდეგ. მიყვარხართ, მეგობრებო და მიყვარს ჩემი გუნდი, რომელიც მეხმარება ამ საოცრების მოხდენაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

TV პროგრამა

ოთხშაბათი 1 აგვისტო

07.30 დ/ფ "ფოტო" – გერმანული საგნობრიობა **08.00** ან/სერ. "მხიარული ფერმა" **09.00** ტ/სერ. "**დომბე და ვაჟი**" **10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ქალი**" **რომელიც ბრუნდება**" **12.30** დ/ფ "ჯეიმის კერძები **30** წუთში" **13.00** ტ/სერ. "**ჩინტო ვეტრინე**" **14.05** "დღე მუზეუმში" **14.30** ან/სერ. "ჯიმი ნიუტრონი გენიოსი ბიჭუნა" **15.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ხმა წარსულიდან**" **19.00** მინი/სერ. "**ოდრი ჰეპბერნის თავგადასავალი**" **20.50** "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" **21.30** ტ/სერ. "**ბეიმისების მოტელი**" **22.30** "ოლიმპიური დღიური" **23.00** მხ/ფ "**უცხო ჩვენს შორის**" (მ.გრიფიტი) **01.10** მხ/ფ "**8 მილი**"

08.00 დ/ფ "ღვინო და მეცნიერება" **09.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **10.00** დ/ფ "მუსორგსკი-სურათები გამოფენიდან" **11.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **12.00** ტ/სერ. "**ეჯას სპი ვარდი**" **13.00** "თოფ გიარი" **14.00** მხ/ფ "**დიასახლისი**" **16.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **16.30** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **17.30** "გააგრელე საქართველოს ისტორია" **18.30** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **19.30** "ტელებლოგი" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.00** "ქართული დოკუმენტალისტიკა" **22.00, 23.30** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **23.00** "ნამდვილი დრო" **00.30** მხ/ფ "**კეთილი იყოს შენი დაბრუნება როსკო ჯენკინს**"

06.00 სერ. "**დახურული სკოლა**" **07.00, 14.40** სერ. "**ფიცი**" **7-8** სერ. **08.00, 16.00** სერ. "**მანანამობა**" **09.00** კულინარიული დუელი **10.00** სერ. "**ბამბის ველი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30** ქრონიკა **11.20** სერ. "**უუმონგი**" **12.20** ცეკვავენ ვარსკვლავები **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სერ. "**შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ- 5**" **1** სერ. **23.00** სერ. "**სპარტაკი**" **1** სერ. **00.00** ილო ბეროშვილის შოუ **01.00** მხ/ფ "**მთელი ცხოვრება მის თვალწინ**" **02.45** მხ/ფ "**ოგბგბას ნიღაბი**" **04.15** მხ/ფ "**მიჩუმებული ყვირილი**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30** დ/ფ - შ.მალაშხია **08.30, 09.10, 01.00, 03.30** მხ/ფ. **09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** სერ. "**გაბრიელა**" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საბა**" **18.45** სერ. "**ცხოვრების გზები**" **19.45, 20.05** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **22.00** ქ. მხ/ფ. "**გასეირნება ყარაბაღში - 1**" **00.00** დ/ფ "გერმანული ტრაგედია" შ.მალაშხია

8.00 ან/სერ. - "**აპატარი**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 0.45** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00, 2.45** სერ. "**ძვლები**" **15.00** მხ/ფ "**ბეტმენი სამუდამოდ**" **17.30** სერ. "**მსახიობი მამა**" **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.20** არჩევნები **2012** დაიჯესტი **20.30 20.30 21.30** სერ. "**სამეფო კარის თამაშები**" **23.00** მხ/ფ "**უცხო მტაცებლის წინააღმდეგ**"

06.25 პატერიკი ხატმწერის შესახებ (გამ. **25.** ივლისი) **06.35** ღვთის სახლი "როგორ ყალბდებოდა აფხაზეთის ისტორია" II ნაწ. **06.45** მოკ. მხ/ფ "**პარაჩვეულებრივი რეისი**" **07.20** ქართული ალბომი **07.45** ჩვენი საგანძური "აფხაზეთის ხელნაწერი მემკვიდრეობა" (გამ. **28** ივლისი) **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.05** მხ/ფ "**ქმნო და კოტე**" **13.30** "უუდღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **1.** მე წვიმად მოვალ **2.** მონადირე, ბიჭი და ძაღლი **15.30** ერთხელ ბავშვობაში **15.45** სპექტაკლი "**პატარა უფლისწული**" **17.25** დ/ფ "ილია ჭავჭავაძე-ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" I ნაწ. **17.50** მართმადიდებლური კატეხიზმო მეცხრე ნეტარება **18.05** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.50** ისტორიის დღიური **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ყველაზე სწრაფები მსოფლიოში**" **20.40** ძილი ნებისა "ხუთკუნჭულა" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** პატერიკი **37.** ღვთის განგებულებაადამიანის ცხოვრებაზე **21.35** საეკლესიო აღმშენებლობა "ბოლნისის ეპარქიის ტაძრები" **22.25** საქართველოს სამართლის ისტორია **22.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები წინასწარმეტყველი მიქია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.30** დიდ ხარ შენ უფალო.....მოციქულთა საუკუნის დასასრული **00.25** "კვირიაკის" სიუჟეტი "უწმინდესი იერუსალიმში" **01.00** "შუადღე ერთსულოვნებაზე"

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**ქალთა ექიმი**" **10.05** სერ. "**ტატიანა**" **11.05** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30** სერ. "**უპანასკნელი მაგიკიანი**" **13.00, 14.05 , 1.00** სერ. "**გულს ვერ უბრძანებ**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.05, 17.05, 2.30** სერ. "**კარმელიტა პოშული ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.55, 19.05** სერ. "**ზრდადი თერაპია**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ჯადოქარი**" **21.40** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.35** სერ. "**მახე**" **23.30** სერ. "**ფროიდის მეთოდი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ქალეიდოსკოპი

ესპანელებს სურთ, ბავშვს სახელად მგელი დაარქვან

ესპანეთის ქალაქ ფუზნლაბრადაში მცხოვრებმა წყვილმა დაიწყო ხელმოწერების შეგროვება, რათა ადგილობრივი ხელისუფლებისგან უფლება მიიღონ, რომ თავიანთ შვილს სახელად ლობო დაარქვან (ესპანურად ლობო მგელს ნიშნავს).

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვის მშობლებმა იგნასიომ და მარიამ მისთვის ამ სახელის დარქმევა რამდენიმე თვის წინ გადაწყვიტეს.

– ეს სახელი ამ მშვენიერი ცხოველის მიმართ ჩვენი სიყვარულის ნიშნად შევარჩიეთ. ეს თავისი თვისებებით უნიკალური სახელია, – განმარტა ბავშვის მამამ.

ბავშვის სახელის რეგისტრაციაზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მშობლებს უარი უთხრეს და ეს იმით ახსნეს, რომ ამ სახელმა ბავშვს შესაძლოა უბედურება მოუტანოს.

აღსანიშნავია, რომ ესპანურმა წყვილმა ხელმოწერების შეგროვება ინტერნეტის დახმარებით დაიწყო და იმ შემთხვევაში, თუ ისინი 2,5 ათასზე მეტი ადამიანის ხელმოწერის შეგროვებას შეძლებენ, მაშინ ხელისუფლების გადაწყვეტილების გასაჩივრებას შეეცდებიან. პეტიციაში იგნასიომ მოიყვანა სხვა სახელები, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე დაშვებულია, მაგალითად, პალმა, რომელიც ითარგმნება, როგორც „მტრედი“ და ლეონი, რომელიც „ლომს“ ნიშნავს.

ამ მომენტისთვის წყვილმა 2,2 ათასზე მეტი ხელმოწერის შეგროვება მოახერხა.

ბიკინიანმა პოლიციელმა ჯიბის ქურდი დააკავა

შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმის ერთ-ერთ პარკში დასვენების დროს ბიკინიში გამოწყობილმა პოლიციის ოფიცერმა ქალმა ჯიბის ქურდი დააკავა. მან შემთხვევის ამსახველი ფოტოსურათი ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მიქაელა კელნერთან და მის მეგობრებთან, რომლებიც ისვენებდნენ და ირუჯებოდნენ, მამაკაცი მივიდა, რომელიც მათ პრესის გამყიდველად წარუდგა. მას შემდეგ, რაც მანდილოსნებმა მისგან ჟურნალ-გაზეთების შეძენაზე უარი განაცხადეს, ის მაშინვე არ წასულა, კიდევ მცირე ხანს იტრიალა მათ ირგვლივ, ხოლო როდესაც წავიდა, ერთ-ერთმა იქ მყოფმა აღმოაჩინა, რომ მობილური ტელეფონი აღარ ჰქონდა.

კელნერი მიხვდა, რომ მამაკაცი პრესას ნივთების შეუმჩნევლად მოსაპარად იყენებდა.

– მე მას დაახლოებით 15 მეტრი ვსდიე, – განაცხადა პოლიციელმა ქალბატონმა, რომელსაც ქურდის დაკავებაში კოლეგა დაეხმარა, რომელიც პარკში მასთან ერთად ისვენებდა. სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული ფოტოსურათისთვის თანდართულ კომენტარში კელნერი წერს, რომ თავისი 11 წლის სამსახურის განმავლობაში პირველად დაიკავა დამნაშავე ბიკინიში გამოწყობილმა.

კლაუდია შიფერს გერმანელი მილიონერის ფიჭვების განადგურება ბრალდება

ესპანეთის ქალაქ პალმა-დე-მაიორკის სასამართლო მულტიმილიონერ ვილი ვებერის სარჩელს განიხილავს, რომელმაც სუპერმოდელი კლაუდია შიფერი მის კუთვნილ ტერიტორიაზე ორი ფიჭვის განადგურებაში დაადანაშაულა.

აღსანიშნავია, რომ სუპერმოდელისა და ვებერის ვილები კუნძულ მაიორკაზე ერთმანეთის მეზობლად მდებარეობს. გერმანელი მიიჩნევს, რომ შიფერმა და მისმა მეუღლემ ხეები იმისთვის მოაჭრევინეს, რომ მათი ვილის ფანჯრებიდან ხედი გაეუმჯობესებინათ. ამგვარად მათ თავიანთი საკუთრების ღირებულება აამაღლეს. ვებერმა მოდელის წინააღმდეგ სარჩელი 2015 წლის ივნისში შეიტანა.

74 წლის გერმანელმა შიფერი მისი საკუთრების უკანონოდ მითვისებასა და გარემოსთვის ზიანის მიყენებაში დაადანაშაულა. ამ საქმეში ეჭვმიტანილებად მოდელის ორი მებაღე გადის, რომლებმაც, სავარაუდოდ, მოჭრეს ხეები.

მილიონერის თქმით, 45 წლის მოდელის მეუღლემ, ბრიტანელმა რეჟისორმა მეთიუ ვონმა, მას ბოდიში მოუხადა და განუცხადა, რომ ეს ინციდენტი შეცდომის ბრალია, ვინაიდან ეგონათ, რომ ხეები მათ ტერიტორიაზე იზრდებოდა.

დონალდ ტრამპი ლიფტში გაიჭედა

რესპუბლიკური პარტიიდან აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი დონალდ ტრამპი ამერიკის ქალაქ კოლორადო-სპრინგსის (კოლორადოს შტატი) ერთ-ერთი სასტუმროს ლიფტში გაიჭედა. ინციდენტი ორი დღის წინ, დაახლოებით 13:30 საათზე მოხდა.

სასტუმროს ლიფტში, მილიარდერის გარდა, კიდევ ცხრა ადამიანი იმყოფებოდა. ქალაქის სახანძრო სამსახურის თანამშრომლებმა ლიფტიდან იქ მყოფთა გამოსაყვანად მის ჭერში ლუქი გახსნეს და შიგნით კიბე ჩაუშვეს. ამ ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტრამპმა ლიფტში დაახლოებით 30 წუთი დაჰყო, რის გამოც მან საკუთარ სიტყვით გამოსვლაზე დაგვიანა.

ინდოეთში ყველაზე ბებერ სპილოს ზეიმი მოუწყვეს

ინდოეთის კერალის შტატში ზეიმი მოაწყვეს მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული სპილოსთვის.

ადგილობრივების მტკიცებით, სპილო, სახელად დაკშაიანი, 86 წლისაა. ქალაქ ტრივანდარმის ქუჩებში დღეგრძელ სპილოს ადამიანები ესალმებოდნენ. თავად ცხოველი სადღესასწაულოდ იყო მორთული. ასევე მას მიენიჭა „სპილო-ბებიას“ წოდება.

აღსანიშნავია, რომ გინესის რეკორდების წიგნს გაეგზავნა მოთხოვნა, დაკშაიანი მყოფ მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმულ სპილოდ ეღიარებინათ, მაგრამ ეს მოთხოვნა უარყვეს.

სხვადასხვა მონაცემის თანახმად, ყველაზე ხანდაზმულად ითვლება აზიური სპილო, რომელიც 2003 წელს რაივანში 86 წლის ასაკში გარდაიცვალა.

მილა კუნისმა და ეშტონ კუტჩერმა ნიშნობის ბეჭდებში 190 დოლარი გადაიხადეს



ჰოლივუდის მსახიობებმა მილა კუნისმა და ეშტონ კუტჩერმა შეიძინეს ნიშნობის ბეჭდები, რომელშიც 190 დოლარი გადაიხადეს.

როგორც კუნისმა განაცხადა, მას სურდა, მაქსიმალურად თხელი პლატინის ბეჭედი შეეძინა და ცნობილი ბრენდების ასეთი სამკაულების ასტრონომიული ფასების გამო შოკირებული აღმოჩნდა.

ამიტომ მილა სამკაულების ვებგვერდზე შევიდა, სადაც მოეწონა ბეჭედი, რომელიც 90 დოლარის ფარგლებში ღირდა. კუტჩერმაც იმავე ვებგვერდზე შეარჩია ბეჭედი, რომლის ფასმა 100 დოლარი შეადგინა.

გარდა ამისა, კუნისმა აღნიშნა, რომ ნიშნობაზე კუტჩერმა მას უბრწყინვალესი ბეჭედი აჩუქა, მაგრამ მას არ იკეთებს და ნიშნობის ბეჭდის ტარებას ამჯობინებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

1 აგვისტოსთვის

აშშ დოლარი	2.3479
ევრო	2.6083
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	3.0898
100 რუსული რუბლი	3.5119

ამინდის პროგნოზი 1 აგვისტოსთვის

29 ივლისიდან

სტენდალი

პარმის სავანე

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

2 აგვისტოდან

ჯოვანი ბოკაჩო

დეკამერონი

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

5 აგვისტოდან

ჯოვანი ბოკაჩო

დეკამერონი

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

3 აგვისტოდან

აკა მორჩილაძე

გადაფრენა მადათოვზე და უკან

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი



ბელგიაში ყველაზე დიდი ყვავილი გაიფურჩქნა

ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელის მახლობლად მდებარე ბოტანიკურ ბაღში მეიზი, მსოფლიოში ყველაზე დიდი ყვავილი – ამორფოფალუს ტიტანიკუსი გაიშალა.

ამ მცენარეს ასევე „მიცვალებულის ყვავილსაც“ ეძახიან მისი სპეციფიკური არომატის გამო. მის სუნს ხრწნობაში მყოფი გვამის, თევზის ან კვერცხის სუნს ადარებენ. ამორფოფალუს ტიტანიკუსი ბოტანიკურ ბაღში 2008 წლის აგვისტოდან იმყოფება. მისი ყვავილობა 26 მაისს დღისით დაიწყო და რამდენიმე დღე გაგრძელდება.

მცენარის საშუალო სიმაღლე 1,9 მეტრს წარმოადგენს, ხოლო წონა – დაახლოებით 18 კილოგრამს.

ყვავილი 1878 წელს ინდონეზიაში აღმოაჩინეს. თავდაპირველად მისი ნახვა მხოლოდ კუნძულ სუმატრას ტყეებში იყო შესაძლებელი, თუმცა ახლა უკვე მას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ბოტანიკურ ბაღებში შეხვდებით.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

...

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, რა არის არაკომპეტენტურობა და გულგრილობა?

– არ ვიცი და ფეხებზე მკიდია.

...

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– ისევ პარიზში მინდა!

– რა, უკვე იყავი?

– არა, უბრალოდ, ისევ მინდა.

...

გოგონა კაზინოში შედის და მთელი თავისი ფულით აღებულ „ფიშკებს“ „რულეტკაზე“ 23 ნომერზე დებს. ბურთულა მართლაც 23-ზე გაჩერდა. მან მთელი მოგება ისევ 23-ზე დადო. კრუპიე ეუბნება:

– 23 ახლახან ამოვიდა და, ძალიან მცირეა იმის შანსი, რომ ისევ ეს ნომერი ამოვიდეს.

გოგონამ მაინც 23 ნომერი აირჩია და ისევ მოიგო. ისევ იმავე ნომერზე დადო. კრუპიე ისევ ეუბნება, რომ შანსი არ არსებობს, ისევ ის ნომერი ამოვიდეს, მაგრამ გოგონამ მაინც თავისი გაიტანა და ისევ მოიგო. მოკლედ, თავისი 23 ნომრით კაზინო გააკოტრა. ბოლოს მასთან ადმინისტრაციის წარმომადგენელი მივიდა და ეუბნება:

– შეგიძლიათ გვითხრათ, ასე როგორ გიმართლებთ?

– იცით რა, ამ ქალაქში ნომერი 7 რეისით ჩამოვფრინდი. როდესაც სასტუმროში მივედი, მე-7 ნომერში მომათავსეს. როდესაც კაზინოში მოვდიოდი და ტაქსს ვაჩერებდი, მხოლოდ მე-7 ტაქსმა გამიჩერა და წამომიყვანა და ვიფიქრე, რომ ეს ნიშანი იყო.

– კი მაგრამ, რა შუაშია 23-ი?!

– განა სამჯერ შვიდი ოცდასამი არ არის?

...

პოლკოვნიკი ხელქვეით ოფიცრებს ანეკდოტს უყვება. ერთი ლეიტენანტის გარდა, ყველა ოფიცერი იცინის. პოლკოვნიკი ეკითხება:

– ლეიტენანტო, თქვენ რატომ არ იცინით?

– მე თქვენი ნაწილიდან არ ვარ, ბატონო პოლკოვნიკო.

...

ვეტერინარი თერაპევტთან მივიდა. ექიმი ეკითხება:

– რა გაწუხებთ?

– ეე, მე თუ გითხარი, მასე ხომ ყველას შეუძლია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

27 ივლისიდან

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი

პრინც ჯორჯს ცხოველთა დამცველები შემოსწყრნენ

ბრიტანეთის პრინც ჯორჯის ფოტოსურათმა, რომელზეც ის იმ მომენტშია ასახული, როდესაც თავის ძაღლ ლუპოს ნაყინით უმასპინძლდება, ცხოველთა დამცველები გაანაწყენა.

ახლახან კემბრიჯის ჰერცოგისა და ჰერცოგინიას შვილს სამი წელი შეუსრულდა. ამ მოვლენის აღსანიშნავად სამეფო ოჯახმა ჯორჯის ახალი ფოტოსურათები გამოაქვეყნა, მათ შორის ისიც, რომელშიც ის თავის ძაღლს უმასპინძლდება.

– ჩვენ ადამიანებს ვურჩევდით, დიდი სიფრთხილით მოეკიდონ ძაღლებისთვის იმ საკვების მიცემას, რომელიც ადამიანებისთვისაა განკუთვნილი, – განაცხადეს ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოებაში.

იქ აღნიშნეს, რომ შოკოლადი შესაძლოა ტოქსიკური გამოდგეს ძაღლისთვის. გარდა ამისა, სავარაუდოდ, ძაღლის ორგანიზმს რძის ნაწარმის გადამუშავება გაუჭირდება.

პრინცის საქციელმა მძაფრი რეაქცია გამოიწვია სოციალურ ქსელებშიც. ზოგიერთი ინტერნეტმომხმარებელი მიიჩნევს, რომ ჯორჯი უნდა დაისაჯოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 6. ვარდისებრთა ოჯახის ეკლიანი ბუჩქი; 7. სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი; 8. ... და ჯულიეტა; 9. თეძოს ძვალი; 10. საწვავი სითხე; 13. კაენის ძმა; 15. შტატი აშშ-ში; 18. მეტრის მემილიონედი; 20. მამის ან დედის მამა; 21. სურათი ზღვის ხედით; 23. მეცნიერება ადამიანის აზროვნების ცვალებადობის შესახებ; 24. გენერალ-გუბერნატორი ჩინეთში ძველად.

შვეულად: 1. დროებითი დასვენება სამუშაოდან; 2. მავნე არსება, ტყის კაცი; 3. საეკლესიო სურნელოვანი ზეთი; 4. შესაძლებლობა; 5. უდაბნოს „ხომალდი“; 11. ინდოელი მწერალი; 12. ფრანგი ფერმწერი (1831-1903); 14. აქლემების ოჯახის ცხოველი; 16. ეტიკეტი; 17. ცალკეული შემთხვევა; 19. სოფელი აბაშის რაიონში; 21. ფრანგი კომპოზიტორი (1842-1912); 22. საქალაქო ტრანსპორტი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ